გაზეთი ბევრია, „ვერსია“ ერთი

ვერსია

ფასი 50 თეთრი

№49 (944) 14 - 15 მაისი, 2014 წელი

ორშაბათი ოთხშაბათი პარასკევი

მამუკა არეშიძე: „საქართველო გამოუვალ მდგომარეობაშია“

რა პროვოკაციებს გეგმავს რუსეთი და რა ღონისძიებები უნდა გააფაროს ხელისუფლებამ მოქალაქეების გაფაცების ასარიდებლად

გვ. 7

დრამა და ფარსი „რუსთავი 2“-ში

ტელევიზიის „დავერბოვკების“ უცვლელი სქემა

ექსკლუზივი

„2001 წელს არხის შენობაში შეჭრამ ნახევარი მთავრობა გადაიყოლა, ღღეს არავინ არაფერს გადაყვება და რევოლუციასაც ვერავინ მოახდენს!“

რატომ გადაწყვიტა რუსთავის მერობა ეროსი კიწმარიშვილმა

საქართველო მალე Google voice-ის წევრი გახდება

რუსთაველები მწვანე ზოლში მშენებლობას აპროტესტებენ

ღეონიძის ქუჩის მკვიდრებმა მერიასა და საკრებულოში საჩივარი შეიტანეს გვ. 6

გვ. 4

რა ინფორმაციებს არ დაუმალავს ზვიად ძიძიგური საზოგადოებას

ქართველი კიბერმეცნიერის უნიკალური პროგრამის პრეზენტაცია ლონდონში მოეწყობა გვ. 6

უჩივლებს თუ არა ქუთაისის ოპერის ყოფილი დირექტორი გოგი ჭიჭინაძეს სასამართლოში? გვ. 8

„მსურს, მხარდაჭერა აღგითქვათ და განვავითაროთ ეკონომიკური ურთიერთობები“

საფრანგეთის პრეზიდენტის საქართველოში ვიზიტის ორი მიზეზი

საფრანგეთის პრეზიდენტი ფრანსუა ოლანდი საქართველოს ერთდღიანი ვიზიტით კავკასიური ტურნეს ფარგლებში ეწვია. თბილისის საერთაშორისო აეროპორტში მას საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი მაია ფანჯიკიძე, პრეზიდენტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი ლაშა აბაშიძე და სხვა ოფიციალური პირები დახვდნენ. ძლიერი წვიმის გამო, სტუმრის დახვედრისთვის გამზადებული წითელი ხალიჩის აღება გახდა საჭირო.

საფრანგეთის პრეზიდენტს, თავდაპირველად, პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი შეხვდა. შეხვედრის შემდეგ გაფართოებულ მოლაპარაკებებზე მხარეებმა ორი ქვეყნის ურთიერთობების ძირითად ასპექტებზე ისაუბრეს და სამომავლო თანამშრომლობის გეგმები განიხილეს. გაფართოებულ შეხვედრაში ასევე მონაწილეობდნენ საფრანგეთის საგარეო საქმეთა და საერთაშორისო განვითარების მინისტრის მოადგილე, საგარეო ვაჭრობის, ტურიზმის ხელშეწყობისა და საზღვარგარეთ მცხოვრები ფრანგების საკითხებში ფლორა პელერინე; განათლების, უმაღლესი სწავლებისა და მეცნიერული კვლევების მინისტრის მოადგილე ჟენევიევ ფიორასო; პრეზიდენტის სამხედრო კაბინეტის უფროსი გენერალი ბენუა პუგა; პრეზიდენტის მრჩეველი ამერიკის, რუსეთის, ბალკანეთის, აღმოსავლეთ ევროპის, კავკასიის, ცენტრალური აზიისა და ევროკავშირის საგარეო პოლიტიკის დარგში ფაბიენ პენონი; პრეზიდენტის მრჩეველი საერთაშორისო სტრატეგიისა და კომუნიკაციების საკითხებში კლოდინ რიპერ-ლანდლერი; საგარეო საქმეთა სამინისტროს კონტინენტალური ევროპის დირექტორი ერიკ ფურნიე; საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს კონტინენტალური ევროპის დირექტორის მოადგილე ფრანსუა დელაუსი და საფრანგეთის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში რენო სალენსი. საქართველოს მხრიდან კი შეხვედრას დაესწრნენ ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი, ვიცე-პრემიერი გიორგი კვირიკაშვილი; საგარეო საქმეთა მინისტრი მაია ფანჯიკიძე; თავდაცვის მინისტრი ირაკლი ალასანია; განათლებისა და მეცნიერების მინისტრი თამარ სანიკიძე; საქართველოს სახელმწიფო მინისტრი ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში ალექსი პეტრიაშვილი; საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საფრანგეთის რესპუბლიკაში ეკატერინე სირაძე-დელონე და საქართველოს მთავრობის კანცელარიის უფროსის მოადგილე ნინო კობახიძე.

მთავრობის ადმინისტრაციაში პირისპირ შეხვედრისას მხარეებმა საქართველო-საფრანგეთის ურთიერთობების სამომავლო გაღრმავების პერსპექტივებზე იმსჯელეს. ხაზგასმით აღინიშნა ორი ქვეყნის პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული თანამშრომლობის მნიშვნელობა. შეხვედრის ერთ-ერთი ძირითადი თემა იყო ევროკავშირთან ასოცირების შესახებ შეთანხმების ხელმოწერა და ნატო-საქართველოს ურთიერთობები.

ირაკლი ღარიბაშვილმა ფრანსუა ოლანდს საქართველოს ევროატლანტიკური მისწრაფებების, სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის, ოკუპირებული ტერიტორიების არაღიარების პოლიტიკის, იძულებით გადაადგილებულ პირთა შესახებ გაერო-ს რეზოლუციის მხარდაჭერისთვის მადლობა გადაუხადა. მხარეებმა თავდაცვის სფეროში თანამშრომლობისა და ორი ქვეყნის საკანონმდებლო ორგანოებს შორის ურთიერთობის გააქტიურების შესახებაც ისაუბრეს. როგორც პრემიერმა ირაკლი ღარიბაშვილმა აღნიშნა, საქართველო განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს ევროკავშირის კრიზისული სიტუაციების მართვის ოპერაციებში მონაწილეობას და ამაყობს, რომ ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკაში ევროკავშირის მისიაში საფრანგეთის პარტნიორი იქნება: **„ჩვენ ქვეყნებს შორის მეგობრობა ხანგრძლივ ურთიერთობას ითვლის. 2012 წელს საქართველოსა და საფრანგეთს შორის დიპლომატიური ურთიერთობების 20 წლისთავი ვიზეიმეთ. მნიშვნელოვანია, რომ ქართველ და ფრანგ ხალხს შორის არსებობს ისტორიული კავშირები. ჩემთვის პირადად, საფრანგეთი ყოველთვის იყო დემოკრატიული ღირებულებებისა და მაღალი კულტურის მაგალითი. სორბონის უნივერსიტეტში სწავლისას, საფრანგეთში გატარებულმა პერიოდმა დიდი გავლენა იქონია ჩემს დამოკიდებულებაზე დემოკრატიულ განვითარებასა და ზოგადად, ევროპული იდეალებისადმი. მოხარული ვარ, რომ ჩვენ ქვეყნებს შორის უკანასკნელ პერიოდში ბრწყინვალე ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული ურთიერთობები ჩამოყალიბდა. საფრანგეთის სახით ჩვენ ქვეყანას ჰყავს მეგობარი. საფრანგეთს განვიხილავთ, როგორც პარტნიორს და უაღრესად ვაფასებთ მის პოზიციას საქართველოს ევროატლანტიკური მისწრაფებების, ასევე სუვერენიტეტის და ტერიტორიული მთლიანობის მხარდაჭერის თვალსაზრისით“.**

ფრანსუა ოლანდმა კი საქართველოს მთავრობის მეთაურს ღირსეული მასპინძლობისთვის მადლობა გადაუხადა: **„სამხრეთ კავკასიაში ვიზიტს საქართველოთი ვასრულებ. აქ ყოფნას ორი მიზანი აქვს. პირველ რიგში, გვსურს, გამოვხატოთ მხარდაჭერა, რადგან ასოცირების ხელშეკრულებას აწერთ ხელს, ასევე განვავითაროთ ეკონომიკური ურთიერთობები. სწორედ ამიტომ, ჩემი ვიზიტის პირველი ნაწილი ეთმობა ფრანგი და ქართველი ბიზნესმენების ეკონომიკურ ფორუმზე დასწრებას. ასევე ჩემთვის ძალიან ემოციური იყო იმის გაგება, რომ თქვენ გზავნით გარკვეულ კონტინგენტს ცენტრალურ აფრიკაში. ასოცირების ხელშეკრულებით საქართველოს შესაძლებლობა მიეცემა, ევროპული ბაზარი მისთვის ხელმისაწვდომი გახდეს“.**

ფრანსუა ოლანდის აზრით, ასოცირების ხელშეკრულება ევროპისთვის მნიშვნელოვანი კოზირი იქნება, რათა წარმოდგენილი იყოს საქართველოში. მოგვიანებით, საფრანგეთის პრეზიდენტს ქართველმა კოლეგამ უმასპინძლა. ფრანსუა ოლანდის დახვედრის ოფიციალური ცერემონია პრეზიდენტის ავლაბრის რეზიდენციაში გაიმართა. საფრანგეთის პრეზიდენტს გიორგი მარგველაშვილთან ერთად, თავდაცვის მინისტრი ირაკლი ალასანია, საპარლამენტო უმრავლესობის წევრი მანანა კობახიძე, პრეზიდენტის მრჩეველი საგარეო ურთიერთობათა საკითხებში ვანო მაჭავარიანი, უშიშროების საბჭოს მდივანი ირინა იმერლიშვილი და საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები დახვდნენ. ცერემონიალს იმ სამხედროების ნაწილიც ესწრებოდა, ვინც ცენტრალური აფრიკის სამშვიდობო მისიაში პირველი კონტინგენტის სახით გაიგზავნება.

პრეზიდენტების შეხვედრის შემდეგ, საგანგებო ვახშამიც გაიმართა, რის შემდეგაც, ფრანსუა ოლანდმა საქართველო დატოვა.

„ვერსიანიუსი“

მირონმდინარე ხატი საქართველოში 23 მაისამდე დარჩება

საპატრიარქოს ინფორმაციით, ამერიკიდან ჩამობრძანებული ივერიის ღვთისმშობლის სასწაულმოქმედი, მირონმდინარე ხატი საქართველოს 23 მაისს დატოვებს. მანამდე კი მოსალოცად იგი სხვადასხვა ეკლესია-მონასტრებში დაბრძანდება.

ივერიის ღვთისმშობლის სასწაულმოქმედი, მირონმდინარი ხატი საქართველოში ბათუმისა და ლაზეთის, ჩრდილოეთ ამერიკისა და კანადის მიტროპოლიტ დიმიტრი შიოლაშვილის ხელმძღვანელობითა და პატრიარქის კურთხევით ჩამოაბრძანეს.

„ინტერპრესნიუსი“

შსს-მ მკვლელობის ფაქტი ცხელ კვალზე გახსნა

შსს-ს თბილისის მთავარი სამმართველოს დეტექტივების სამმართველოს პირველი განყოფილების თანამშრომლებმა, ცხელ კვალზე ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 1963 წელს დაბადებული ზურაბ გ. დამამძიმებელ გარემოებაში განზრახ მკვლელობის ბრალდებით დააკავეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ დაკავებულმა 12 მაისს, დაახლოებით 23:00 სთ-ზე, ლისის ტბის დასახლებაში, ურთიერთშელაპარაკებისას, 1976 წელს დაბადებულ ელვარდ მ-ს და 1975 წელს დაბადებულ იოსებ ჭ-ს ცეცხლსასროლი იარაღით მრავლობითი სასიკვდილო ჭრილობა მიაყენა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. დაჭრილები მიყენებული მძიმე ჭრილობების შედეგად საავადმყოფოში გარდაიცვალნენ.

სამართალდამცველებმა ბრალდებული მომხდარიდან რამდენიმე საათში დააკავეს. დაკავებულის პირადი და საცხოვრებელი სახლის ჩხრეკისას დანაშაულის ჩადენის იარაღები: „ბერეტას“ და „ტე-ტეს“ სისტემის 2 პისტოლეტი და საბრძოლო ვაზნები ნივთმტკიცებად ამოიღეს.

გამოძიება დამამძიმებელ გარემოებაში ორი ან მეტი პირის გაზრახ მკვლელობის ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ს 109-ე მუხლით).

„ვერსიანიუსი“

ივლისამდე ომის შედეგად დაზარალებული 30 სოფლის მიწის სარწყავი სისტემა გაუმჯობესდება

პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი გორის მუნიციპალიტეტის სოფელ კირბში ტირიფონისა და სალთვისის საირიგაციო სისტემის რეაბილიტაციის პროცესს გაეცნო. ტირიფონისა და სალთვისის საირიგაციო სისტემის რეაბილიტაციას საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი ამერიკის შეერთებული შტატების განვითარების სააგენტოს (USAID) დაფინანსებით ახორციელებს. პროექტზე, რომლის ღირებულებაც 14 მილიონ ლარს აჭარბებს, ასამდე ადგილობრივი მოსახლეა დასაქმებული.

მთავრობის მეთაურს მიმდინარე სამუშაოებზე ინფორმაცია რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრმა, ელგუჯა ხოკრიშვილმა და შიდა ქართლის გუბერნატორმა, ზურაბ რუსიშვილმა მიაწოდეს. მათი ინფორმაციით, სალთვისის და ტირიფონის საირიგაციო სისტემების მაგისტრალური არხები ოკუპირებული ტერიტორიის ე.წ. საზღვარს მიუყვება.

როგორც ირაკლი ღარიბაშვილმა განაცხადა, ომისგან დაზარალებულ ადამიანებზე ზრუნვა ხელისუფლების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტია. პრემიერის შეფასებით, ინფრასტრუქტურული პროექტები უდიდესი მხარდაჭერაა ე.წ. საზღვრისპირა სოფლების მცხოვრებლებისთვის, რომლებიც ბევრი სირთულის მიუხედავად, მეურნეობებს ინარჩუნებენ. მთავრობის მეთაურმა აღნიშნა, რომ კონფლიქტების მოგვარების წინაპირობა ქვეყნის ეკონომიკური გაძლიერებაა, რისკენაც საქართველოს ხელისუფლება ნაბიჯ-ნაბიჯ მიდის.

„პირველი“

დრამა და ფარსი „რუსთავი 2“-ში

ნინო კომახიძე
599-95-33-16

რატომ გადაწყვიტა რუსთავის მერობა ეროსი კინწარიშვილმა

„რუსთავი 2“-სა და „ოცნების“ ხელისუფლებას შორის დაძაბულობა გრძელდება. ფარული ჩანაწერების ეთერში ფრიალი, თავისმართლების პოზიციაში ჩამდგარი საპარლამენტო უმრავლესობა, აღშფოთებული მინისტრები, დაკითხვაზე დაბარებული ნიკა გვარამია — რამდენიმე დღეა არხსა და ხელისუფლებას შორის პატარ-პატარა ბრძოლების მომსწრე ვართ; მეტიც, მოულოდნელად, ნინო შუბლაძემ „რუსთავი 2“ დატოვა მისი თანამდებობა კი ზაალ უდუმაშვილმა და გიორგი ლაფერაშვილმა დაიკავეს. „რუსთავი 2“-თან ბრძოლამ თავის დროზე კარგი არაფერი მოუტანა არც შევარდნაძე-თარგამაძის ხელისუფლებას — 2001 წელს არხის შენობაში უშიშროების შესვლას ჯერ ნახევარი მთავრობა გადაყვა, მერე კი „ვარდების რევოლუცია“ მოჰყვა. დღეს რა გავლენა აქვს „რუსთავი 2“-ს და ისევ ითხოვს თუ არა ხალხი კრიტიკულ ცვლილებებს, ეს სულ სხვა თემაა. რამდენად გამართლებულია წინასაარჩევნოდ, ყველაზე რეიტინგულ ტელევიზიასთან დაპირისპირება, რა მოხდა 2001 წელს სინამდვილეში და რა პარალელების გავლება შეიძლება 13-წლისწინანდელ მოვლენებსა და დღევანდელ დაძაბულ ვითარებას შორის — ამ თემაზე „ვერსია“ „რუსათვი 2“-ის დამფუძნებელ ეროსი კინწარიშვილს ესაუბრა. სხვათა შორის, ყოფილი ელჩი რუსეთში და „ქართული პარტიის“ ყოფილი წევრი ახლა ქალაქ რუსთავის მერობისთვისაც ემზადება.

— 2001 წელს „რუსთავი 2“-სა და მაშინდელ ხელისუფლებას ურთიერთობა დაეძაბა. ისტორია მეორდება?

— ასეთი გამოთქმა არსებობს — ისტორია მეორდება, ოღონდ, თავიდან არის დრამა და მერე ფარსი, ამიტომ ძნელი სათქმელია, რომ დღესაც იგივე ხდება.

— ანუ თქვენ დროს დრამა იყო, ახლა ფარსია?

— როგორც გინდათ, ისე დაარქვით. მაშინ ხალხის გარეთ გამოსვლა მათთვის მნიშვნელოვან მოვლენაზე რეაქცია იყო, ამის გამო, ფაქტობრივად, მთელი აღმასრულებელი ხელისუფლება და მთავრობის ძირითადი მოთამაშეები შეიცვალნენ. ეს სერიოზული მიწისძვრა იყო, რამაც 2 წლის შემდეგ „ვარდების რევოლუციისთვისაც“ მოამზადა ფონი, თუმცა მიზეზი მხოლოდ „რუსთავი 2“ არ ყოფილა — ეს იყო საზოგადოების პროტესტი, რომელიც ამ ფორმით გამოიხატა.

— „რუსთავი 2“-ში შეჭრის საჯარო მიზეზი დიდძალი გადასახადების დამალვა იყო, ეს საბედისწერო გადაწყვეტილება კი მაშინდელმა შს მინისტრმა კახა თარგამაძემ მიიღო, რასაც პოლიტიკურად შეეწირა კიდეც. რა მოხდა სინამდვილეში?

> **— 2001 წელს შევარდნაძის გუნდში, ერთმანეთს ორი დაჯგუფება ებრძოდა: მაშინდელი შს მინისტრი კახა თარგამაძე და მასთან დაკავშირებული ბევრი გავლენიანი ადამიანი, მათ შორის ბადრი პატარკაციშვილიც, ხოლო მეორე ჯგუფში ნუგზარ საჯაია და სხვა პირები იყვნენ. ამ დროს უკვე პოსტშევარდნაძის პერიოდისთვის მიდიოდა მზადება. 2005 წელს პრეზიდენტს ყველანაირი სამართლებრივი ვადა ეწურებოდა და პოსტზე მისი დარჩენის არანაირი მექანიზმი არ არსებობდა. 2000 წლიდან უკვე გავლენის მოსაპოვებლად დაიწყო ბრძოლა. მოკლედ, რევოლუციას არავინ გეგმავდა, ყველა შევარდნაძის წასვლისთვის ემზადებოდა, რათა ამის მერე, რაც შეიძლება კარგი სასტარტო პოზიცია მიეღო. ამ გზაზე მთავარი ხელისშემშლელი და მოგების ძლიერი ინსტრუმენტი კი მედია იყო, სადაც გაბატონებული ლიდერი „რუსთავი 2“ გახლდათ. ამ არხის ყიდვის, ხელში ჩაგდებისა თუ განადგურების უამრავი სქემა იხილებოდა. არაერთხელ იყო მოლაპარაკებისა და შანტაჟის მცდელობაც.**

— ამ მოლაპარაკებებში თქვენც იყავით ჩართული — არხზე უშიშროების შემოსვლის მერე თქვენ, ჟვანია-სააკაშვილთან ერთად, თარგამაძე არ „შეწირეთ“ ამ საქმეს?

— სააკაშვილი 2001 წელს საერთოდ ვინ იყო — იუსტიციის ახლადგადამდგარი მინისტრი, 7-კაციანი ფრაქციით პარლამენტში. 2001 წელს კი ჟვანიას ჩემთან არავითარი კავშირი არ ჰქონია. 2001 წლის ოქტომბერში, კახა თარგამაძის ფრთამ დაუშვა საბედისწერო შეცდომა — ინიცირება გაუკეთა ტელევიზიაში შემოჭრას, პარალელურად, დაიწყო არხზე გასული რეკლამების ქრონომეტრაჟის კონტროლი, კულუარული საუბრები პარლამენტში და ა.შ. ამას ქუჩაში 10 000-ობით ადამიანის გამოსვლა მოჰყვა. შევარდნაძე და მისი გუნდი უმძიმეს მდგომარეობაში აღმოჩნდნენ. შევარდნაძეს პირადადაც ვესაუბრე და ვკითხე, იცოდა, თუ არა „რუსთავი 2“-ში შეჭრის გადაწყვეტილების შესახებ. ვიცი, მითხრა, მაგრამ არ ეგონა, მოვლენები ასე თუ განვითარდებოდა. ამ ყველაფრის გამო ძალიან ცუდ დღეში აღმოჩნდა ძალიან კარგი ადამიანი, მაშინდელი მინისტრი ვახტანგ ქუთათელაძე და იძულებული გახდა, გადამდგარიყო კიდეც. ამის შედეგად,

> **ქვეყანაში მძიმე კრიზისული ვითარება შეიქმნა, რაც პოლიტიკურ კრიზისში გადაიზარდა. ამ დროს, ჩემთვის სრულიად მოულოდნელად, გადადგა პარლამენტის თავმჯდომარე ზურაბ ჟვანია, ასევე კახა თარგამაძე და ასე შეიცვალა ძალთა ბალანსი საქართველოში. 1 თვეში, ასევე ყველასათვის მოულოდნელად, თავს იკლავს ნუგზარ საჯაია და 2 მთავარი მოთამაშე ქრება პოლიტიკური არენიდან. ანუ მაშინდელი ხელისუფლება ისეთ ბომბს შეეხო, რომელმაც მთელი პროცესი ააფეთქა. ეს არ იყო შეთქმულების თეორია — უბრალოდ, მაშინ ხალხშიც მომწიფებული იყო დიდი ცვლილებების სურვილი. ასე გაქრნენ უძლიერესი რუხი კარდინალი საჯაია და ამბიციური მინისტრი კახა თარგამაძე, 2001 წელს კი ამ პროცესების წიაღში სააკაშვილი ახალ ლიდერად დაიბადა.**

— სად იყო სააკაშვილი ამ დროს, რა პოზიცია ჰქონდა?

— მან ძალიან საინტერესო გადაწყვეტილება მიიღო. ამ კრიზისის დროს იგი კიევში იყო, პროცესებში ღიად არც ჩართულა. იგი ახალგაზრდა თაობაში უკვე საკმაოდ პოპულარული იყო და ბევრი ადამიანის თხოვნის მიუხედავად, საქართველოში არ ჩამოვიდა. ეს ყველაფერი სააკაშვილმა კარგად გათვალა, რადგან მხოლოდ 33 წლისა იყო და შევარდნაძე რომ გადაეგდოთ, პრეზიდენტი მაინც ჟვანია გახდებოდა.

— ისე, დღევანდელ მთავრობაში თარგამაძის ტიპის ამბიციურ ლიდერს ხედავთ, ან თუნდაც ისეთს, ვინც გავლენიან ტელეარხს ღია კონფრონტაციაში გამოიწვევს?

— „ოცნების“ პოლიტიკურ გუნდს ან პოლიტიკოს ირაკლი ღარიბაშვილს ჯერ არ ვიცნობ, ვიცნობ მხოლოდ ერთ პოლიტიკოსს, ბიძინა ივანიშვილს და მის მიერ დანიშნულ ადამიანებს. ყველა დანარჩენმა ჯერ ის უნდა დაამტკიცოს, რომ პოლიტიკური მოთამაშეა, რასაც დრო სჭირდება. ზოგადად, დღევანდელ და მაშინდელ ვითარებას შორის ორი განსხვავებაა: ჯერ ერთი, სხვა განწყობა იყო მაშინ საზოგადოებაში, იყო ცვლილებების მუხტი, რევოლუციის მოლოდინი. დღეს ეს მუხტი არ არსებობს და ხალხი დრამატული ცვლილებისთვის არ არის განწყობილი. მეორე განსხვავება კი ისაა, რომ „რუსთავი 2“-ის მაშინდელი მდგომარეობა და გავლენა ხალხის მოთხოვნის ამსახველი იყო.

— დღეს „რუსთავი 2“ ხალხის განწყობას აღარ გამოხატავს ან იქნებ საქმე მის დირექტორ ნიკა გვარამიაშია?

— „რუსთავი 2“-ის მუშაობის შედეგად დადებული პროდუქტი, რასაც ყველა ვხედავთ, ბოლო 10 წლის შედეგია. გართობის ინდუსტრიაში კარგ პროდუქტს ვხედავ, პოლიტიკურ შოუებს კი ყველა არხზე ერთნაირი, მოძველებული და მდარე ხარისხი აქვს. იგივეა ფორმატი, სტილისტიკა, ერთადერთი, რაც უმჯობესდება, ინტერიერი და სტუდიაა, სხვა სიახლე არ არის. არადა, ბოლო 15 წელია მსოფლიო გაცილებით შორს წავიდა, ვიდრე დღეს ჩვენ ვართ. ის გავლენა, რაც მაშინ ტელევიზიას ჰქონდა და აქვს დღეს, მხოლოდ პროფესიონალიზმის შედეგია, თუმცა ვერ ვიტყვი, მოიმატა თუ იკლო ამ გავლენამ. კონკრეტულად მოსმენების თემას რაც შეეხება, ეს ყველაფერი ვნახე, დიდი ყურადღება არ მიმიქცევია, ჩემში არც დიდი ემოციები გამოუწვევია. ერთი ის ვიცი, რომ არც ერთი და არც მეორე მხარის ქმედებას ისეთი არაფერი გამოუწვევია, ვერავინ ვერაფერს გადაყვება და ვერავინ ვერაფერს მოახდენს! გულწრფელად გეუბნებით, რაც დღეს ხდება, ბომბის აფეთქება არ არის, პატარ-პატარა ჩხუბია ორივე მხრიდან — ქარიშხალი ჭიქაში. დღეს საქართველოში მასშტაბური არაფერი ხდება.

> **ეს მცირე დაძაბულობა „რუსთავი 2“-ზე ხელისუფლების გარკვეული ჯგუფის გავლენის მოსაპოვებლად დაიწყო, რასაც არხის რომელიღაც დაჯგუფების, რომელსაც არ ვიცი, ახლა ვინ წარმოადგენს, თავდაცვითი რეაქციები მოჰყვა. ეს არის პატარა, ლოკალური კონფლიქტები, რაც მასშტაბურ მოვლენებში არ გადაიზრდება. ვინც ამას ფიქრობს, გადაჭარბებული მოლოდინი აქვს. ეს ის მოვლენები არ არის, რამაც უნდა შექმნას ახალი ეპოქა ან ვინმე გადაიყოლოს. საერთოდ, მგონია, ვითარება არჩევნების მერე დამშვიდდება. კონფლიქტი იარსებებს, დაძაბულობა იქნება, მაგრამ ამ ჩარჩოებს არ გასცდება და ძალიანაც კარგი, თუ ასე მოხდება. ხალხი ამ ხელოვნური ქარტეხილებით დაიღალა. არხზე შევარდნებსა და ფინანსურ დევნასაც გამოვრიცხავ — რომც შეცვივდნენ, ამას რა მიზანი ექნება, მით უმეტეს, შედეგი?!**

— „რუსთავი 2“-ისა და „მაესტროს“ სასამართლო პროცესებზე რა ხდება?

— ეს საქმეები, ფაქტობრივად, გაყინულია. 2009 წელს „რუსთავი 2“-თან დაკავშირებით დაწყებული სასამართლო პროცესი წავაგე, დღეს პროცესს ჩემი ორი სხვა პარტნიორი აწარმოებს, საჩივარი პროკურატურაში აქვთ შეტანილი და ე.წ. მოკვლევა უკვე 3 წელია გრძელდება. მოწმის სახით დიდი ხნის წინ დამკითხეს, გამოძიებას ჩემს ხელთ არსებული ინფორმაცია გადავეცი და ახლა დიდი ინტერესით ველი პროცესების განვითარებას. მას მერე იცვლებიან გენერალური პროკურორები, პროკურორები, გამომძიებლები და საქმე ისევ დევს. ახლა, თურმე, მიხეილ სააკაშვილის სახით ახალი მოწმე გამოჩნდა და აბა, მას თუ არ დაკითხავენ, ისე რა გაირკვევა. ანალოგიური მდგომარეობაა „მაესტროს“ საქმეზეც. მოკლედ, ჩვენი თემიდა იმდენჯერ გააუპატიურეს ბოლო წლების განმავლობაში, ახლა მისი ბუნებრივი მდგომარეობა ახალი მფარველის ძიებაა. ეტყობა, ეს ახალი მფარველი ახალი ხელისუფლებაა. უკვე 10 თვეა, უზენაესი სასამართლო გადაწყვეტილებას ვერ იღებს, დაუშვას თუ არა განხილვაზე ჩემი ეს სარჩელი. ასე რომ, ახლა თემიდა ზის და ვარსკვლავებს უყურებს, რომლებიც ჯერ ახალს არაფერს ამცნობენ.

— ადგილობრივ არჩევნებზეც ვისაუბროთ — „ქართული პარტია“ ბევრ ნაწილად დაიშალა: ირაკლი ოქრუაშვილის კაცი კენჭს გორში იყრის, ძმები გაჩეჩილაძეები „აორთქლდნენ“, თქვენ რუსთავის მერობა გინდათ, სოზარ სუბარი მინისტრია, კოკა გუნცაძე რკინიგზის სამეთვალყურეო საბჭოშია. პარტია, თუ არ ვცდები, ოქრუაშვილს დარჩა, მაგრამ საინტერესოა, ვინ წაიყვანა მხარდამჭერთა ის ჯგუფი, რომელიც თავის დროზე გყავდათ?

— „ქართული პარტია“ ჩემი ინიციატივითა და ერთადერთი მიზეზით შეიქმნა. იგი განსხვავებული წარსულისა და პრინციპების მქონე ადამიანებით დაკომპლექტდა, მაგრამ მიზანი ერთი გვქონდა — ყველა სააკაშვილის წინააღმდეგ! სამწუხაროდ, „ქართული პარტიისა“ და ნინო ბურჯანაძის კიდევ უფრო დიდი გაერთიანება არ შედგა, პარტია დაიშალა, ბეჭედი და ხელმოწერა ვის დარჩა, ეს საინტერესო აღარავისთვისაა...

დასასრული მე-4 გვერდზე

ვერსიანიუსი

„ქართული ოცნება“ წყალტუბოს შტაბში მომხდარ ინციდენტს გმობს

საარჩევნო ბლოკ „ქართული ოცნების“ რეგიონული სამსახური გმობს წყალტუბოს რაიონული ორგანიზაციის ოფისში შეჭრის და პროვოკაციის მოწყობის ფაქტს. სამსახურმა ოფიციალური განცხადებაც გაავრცელა: **„საარჩევნო ბლოკ „ქართულ ოცნებას“ წყალტუბოს რაიონში გააჩნია ერთადერთი საარჩევნო შტაბი, რომელიც მდებარეობს რუსთაველის ქ. №4-ში და მისი ხელმძღვანელია ჯემალ ფანცხავა.**

ნებისმიერი სხვა ჯგუფი, რომელიც საუბრობს წყალტუბოს შტაბის სახელით, არაკეთილისმოსურნე ძალების მხრიდან მართულის და ცდილობს, ხელოვნური პრობლემები შეუქმნას ჩვენი რაიონული ორგანიზაციის წინასაარჩევნო კამპანიას. აღსანიშნავია, რომ ოფისში შეჭრილ ადამიანებს თან ახლდა პარტია „ქართული ოცნება დემოკრატიული საქართველოს“ რამდენიმე წევრიც, რომლებიც უმკაცრესად იქნებიან დასჯილნი და დატოვებენ ჩვენი პარტიის რიგებს.

გვჯერა, აღნიშნულ ინციდენტს შეისწავლიან სამართალდამცავი ორგანოებიც და კანონის შესაბამის გადაწყვეტილებას მიიღებენ.

გვინდა ჩვენს მოსახლეობას ვუთხრათ, რომ მიუხედავად პროვოკაციის მცდელობისა, ჩვენ ადგილობრივი თვითმართველობის არჩევნებს ჩავატარებთ მშვიდ და პოზიტიურ გარემოში და ერთად მივალთ საბოლოო გამარჯვებამდე“.

„პირველი“

„დავით უსუფაშვილი მიხეილ სააკაშვილთან რეზიდენციაში რამდენჯერმე მივიდა...“

ᲠᲣᲡᲣᲓᲐᲜ ᲨᲔᲚᲘᲐ
557-100-768

რა ინფორმაციებს არ დაუმალავს ზვიად ძიძიგური საზოგადოებას

ფარული ჩანაწერების გამოქვეყნებას ნაციონალური მოძრაობის წინასაარჩევნო კამპანიას უკავშირებს, თუმცა აცხადებს, რომ საპარლამენტო ოპოზიციის პროვოკაცია ამჯერადაც წარუმატებლად დასრულდება. არ მალავს, რომ პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილი მიხეილ სააკაშვილს საპრეზიდენტო რეზიდენციაში რამდენჯერმე შეხვდა — თანამდებობის პირს ოპონენტებთან ურთიერთობა ევალებაო, ამტკიცებს. დაიწყება თუ არა ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებამდე კომპრომატების ომი და რას უმალავს „ქართული ოცნება“ საზოგადოებას? მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს საპარლამენტო უმრავლესობის წევრი, კონსერვატიული პარტიის ლიდერი ᲖᲕᲘᲐᲓ ᲫᲘᲫᲘᲒᲣᲠᲘ აფასებს.

— ბოლო დღეებში განვითარებულმა მოვლენებმა ნათლად დაგვანახა, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროში უკანონოდ მოპოვებული 28 ათასი ფაილის განადგურება ნაციონალური მოძრაობის დანერგილი მავნე პრაქტიკის პრევენციად ვერ გამოდგა. მიუხედავად იმისა, რომ ეს მასალები სოციალურ ქსელსა და ტელევიზიებში არ გამოჩენილა, ყველამ კარგად იცის, რომ ისინი გაურკვეველი პირების ხელში ჯერ კიდევ არსებობს. პოლიტიკურ სივრცეში მსგავსი ვითარება დამაფიქრებელი და საშიშია!

— მიანიშნებთ, რომ სატელეფონო საუბრების გამოქვეყნება მხოლოდ მოთელვა იყო და არჩევნებამდე ხელისუფლების წინააღმდეგ კომპრომატების ომი დაიწყება?

— კომპრომატების ომს არ ველი... როცა ირაკლი ღარიბაშვილი ჯერ კიდევ შინაგან საქმეთა მინისტრი იყო, საჯაროდ განაცხადა — შესაძლოა უწყებიდან მოსასმენი აპარატურა და ფაილების ასლები გატანილიაო, რაც სატელეფონო ჩანაწერების გამოქვეყნებამ კიდევ ერთხელ დაადასტურა. ზოგადად, იმდენად განვითარებულ ტექნოლოგიურ საუკუნეში ვცხოვრობთ, აუდიოჩანაწერების გაკეთება პრობლემა არავისთვისაა და ასეთ ვითარებაში, სახელმწიფოს მთავარი ამოცანა საკანონმდებლო რეგულაციების შემუშავებაა. ამ მიმართულებით ერთ წელზე მეტია არასამთავრობო ორგანიზაციებთან ვმუშაობთ. მართალია, ხელისუფლებასა და სამოქალაქო სექტორის რამდენიმე წარმომადგენელს შორის საკმაოდ დაძაბული ურთიერთობა ჩამოყალიბდა — მათი ნაწილი ზეწოლისა და აქციების ენით ცდილობს მთავრობასთან საუბარს, მაგრამ პირადად ამას საქმიან თანამშრომლობას ვუწოდებ. მართალია, ნაციონალური მოძრაობა ცდილობს, გამოქვეყნებული ჩანაწერები ხელისუფლებას დაუკავშიროს, გამოძიების დასრულებამდე დამნაშავე პირებსა თუ პოლიტიკურ ძალებსაც ასახელებენ, მაგრამ გარწმუნებთ, ტყუილად ირჯებიან.

— არ ფიქრობთ, რომ ხელისუფლება ახლა თავისმართლების რეჟიმშია?

— მერწმუნეთ, ეს აჟიოტაჟი ნაციონალური მოძრაობის წინასაარჩევნო კამპანიის ნაწილია! თანაც „რუსთავი 2“-სა და ნაციონალურ მოძრაობას ერთმანეთისგან ვერ განვასხვავებ. დაგვემუქრნენ, ჯოჯოხეთს მოგიწყობთო, მაგრამ გამოძიების დასრულების შემდეგ საზოგადოება დარწმუნდება, რომ მმართველი გუნდი ტელეკომპანიაში თვალთვალსა და ფარულ ჩანაწერებთან კავშირში არ არის. წელიწადნახევრის განმავლობაში საპარლამენტო უმცირესობისგან უამრავი ბრალდება მოვისმინეთ, მაგრამ, საბოლოოდ, ხელისუფლება ყოველთვის მართალი გამოდიოდა, ნაციონალური მოძრაობა კი პირში ჩალაგამოვლებული. ახლაც ასე იქნება!

— მაღალი თანამდებობის პირების ოპოზიციონერებთან საუბრებმა საზოგადოების ნაწილში გაამყარა ეჭვი, რომ კოჰაბიტაციამ „ქართულ ოცნებასა“ და ნაციონალურ მოძრაობას შორის თანამშრომლობის სახე მიიღო...

— ხელისუფლებას დათო უსუფაშვილის მოსმენა არაფერში სჭირდება. კი, ბატონო, იგი ოპოზიციის ლიდერებს, მათ შორის მიხეილ სააკაშვილსა და გიგი უგულავას ესაუბრებოდა, მაგრამ ამის შესახებ კოალიციის დანარჩენი წევრები საქმის კურსში ვიყავით. ისიც ვიცოდით, რომ კოჰაბიტაციის პირობებში ირაკლი ალასანია და გიგა ბოკერია გარკვეულ საკითხებთან დაკავშირებით ლაპარაკობდნენ; მეტიც — დავით უსუფაშვილი მიხეილ სააკაშვილთან რეზიდენციაში არაერთხელ მივიდა. საზოგადოებას არც იმას დავუმალავ, რომ დავით უსუფაშვილმა და მიხეილ სააკაშვილმა რამდენჯერმე საკმაოდ დიდხანს ისაუბრეს.

— თუ ასეა, რატომ გიკვირთ, რომ საზოგადოებაში შეთქმულების თეორიები აქტუალობას არ კარგავს?

— თანამდებობის პირები ვალდებულნი არიან, პოლიტიკური სიმპათიის მიუხედავად, ოპონენტებსაც ესაუბრონ. უბრალოდ, ჩანს, მაშინ სატელეფონო საუბრების მოსმენა-ჩაწერა მიხეილ სააკაშვილის ინტერესებში შედიოდა, რათა ვითარებაზე კონტროლი შეენარჩუნებინა. ნაციონალური მოძრაობა მის გზას წარმატებით იმეორებს და ცდილობს, ნებისმიერ შესაძლებლობას ჩაებღაუჭოს, თუმცა ვიმეორებ — ჩალაგამოვლებულები დარჩებიან.

— საპარლამენტო ოპოზიცია კი ასე სულაც არ ფიქრობს. ნაციონალებმა სპორტის სასახლეში გამართულ ყრილობაზე გამარჯვებამდე ბრძოლა დააანონსეს. ამის რეალური რესურსი არ გააჩნიათ?

— ნაციონალური მოძრაობის განცხადებები მხოლოდ მოახლოებულ არჩევნებს უკავშირდება, ხელისუფლებაში მათი დაბრუნება კი წარმოუდგენელია, უბრალოდ, რევანშისტული ტექსტებით მათ რიგებში ადამიანების შენარჩუნებას ცდილობენ. ეს მათი საქმეა, მაგრამ რეალობას მოწყვეტილნი არიან, რადგან მუქარისმიღმა მხოლოდ ცარიელი სიტყვებია. რაც უნდათ, თქვან, მთავარია, კანონი არ დაარღვიონ და ანტისახელმწიფოებრივი ნაბიჯები არ გადადგან, ეს არც მათ და არც ქვეყნის ინტერესებში შედის.

— მოახლოებულ 17 მაისზე მიანიშნებთ, ფიქრობთ, ვითარებას ფართომასშტაბიანი გამოსვლების დასაწყებად ხელოვნურად ძაბავენ?

— არა მგონია, ნაციონალურმა მოძრაობამ პოლიტიკური ბრძოლა კანონდარღვევით გააგრძელოს. ვიმეორებ, კანონის ფარგლებში, ნებისმიერი წინადადების ტირაჟირების უფლება აქვთ.

— არასაპარლამენტო ოპოზიციის შანსებზეც ვისაუბროთ. თვითმმართველობის არჩევნებში მეორე პოლიტიკური ძალის სტატუსს კვლავ ნაციონალური მოძრაობა შეინარჩუნებს?

— არასაპარლამენტო ოპოზიცია უნდა დაფიქრდეს, ვინ უნდა იყოს ამ ფლანგზე პირველი. ხელისუფლება რომელიმე პოლიტიკურ ძალას უპირატესობას ხელოვნურად ვერ მიანიჭებს, ჩვენ მხოლოდ ჯანსაღი კონკურენციისთვის შესაბამის გარემოს შევქმნით, რეიტინგებსა და შანსებზე კი თავად იფიქრონ.

— არასაპარლამენტო ოპოზიციის ლიდერები დიდი ოპოზიციური გაერთიანების ჩაშლაში სწორედ მმართველ გუნდს ადანაშაულებენ. საარჩევნო კოდექსში ჯანსაღი კონკურენტული გარემოს შესაქმნელად რეალური ცვლილებები შევიდა?

— როცა ერთი პოლიტიკური ძალა არჩევნებში მილიონ ხმას მიიღებს, მეორე კი ათს, ორივეს თანაბარ პირობებში ჩაყენება შეუძლებელია. ამ პრინციპით ნაწილდება საეთერო დრო, ფინანსები, კომისიებში წევრების რაოდენობა... პარტიებმა მოსახლეობას თავი უნდა მოაწონონ და ამ მიმართულებით მაქსიმალურად იმუშაონ. რაც შეეხება საარჩევნო კოდექსში განხორციელებულ ცვლილებებს, პატარა ოპოზიციური პარტიების სასარგებლოდ კანონმდებლობა ვერ შეიცვლება, ისე კი, დაახლოებით, 20-მდე ცვლილების ჩამოთვლა შემიძლია, რომელიც წინასაარჩევნო გარემოს გასაუმჯობესებლად მივიღეთ და ეს არასაპარლამენტო ოპოზიციის წარმომადგენლებმაც კარგად იციან. საკუთარ სისუსტეს ხელისუფლებას ნუ დააბრალებენ, ეს მხოლოდ მათი შედეგია და მიდგომა უნდა შეცვალონ. არასაპარლამენტო ოპოზიციის წარმომადგენლებთან კონსულტაციებში ჩართული ვიყავი, მაგრამ ჩვენი გუნდიდან არავის გამოუთქვამს სურვილი, რომელიმე დიდი ოპოზიციური გაერთიანება ჩაგვეშალა. ოპოზიციური გაერთიანების შექმნა მხოლოდ მისი მსურველი პოლიტიკური ძალების გადასაწყვეტი იყო. მათ სისუსტეს საზოგადოებაც კარგად ხედავს და ვფიქრობ, მსგავსი განცხადებებით თავს უხერხულ მდგომარეობაში აყენებენ.

— თბილისში მეორე ტურს არ ელით?

— თბილისში კი არა, ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში, მეორე ტურს, საქართველოს მასშტაბით არსად ველი.

მე-3 გვერდიდან

დრამა და ფარსი „რუსთავი 2“-ში

თუმცა დიახ, ბეჭედი ნამდვილად ოქრუაშვილს დარჩა. პარტიიდან ყველა დანარჩენი გავიდა, მე გამრიცხეს, ეს იყო სულ... „ქართულ პარტიას“ მაშინ მხარდამჭერები იმიტომ ჰყავდა, რომ მასში რამდენიმე ძლიერი მოთამაშე გაერთიანდა. ძნელი სათქმელია, ამ დაშლილ მოთამაშეებს ახლა რა ზურგი და მხარდაჭერა აქვთ. ჩემი პირადი რეიტინგი იმ პარტიაში არც მაშინ მაინტერესებდა და არც ახლა მაინტერესებს. 4 წელი ხდება, არც ერთ ძველ თანაპარტიელთან არანაირი ურთიერთობა არ მქონია, არც ვიცი მათი ამბავი, არც ვკითხულობ და არც მაინტერესებს. რაც შეეხება ლევან და გია გაჩეჩილაძეებს, მათთან არანაირი ტიპის, მათ შორის, არც ადამიანური ურთიერთობები არ მაქვს. მათი შეფასებები და მხარდაჭერა საერთოდ არ მაინტერესებს. ისიც მათი პრობლემაა, გამოჩნდებიან თუ არა საერთოდ და ვის დაუჭერენ მხარს. ჩვენი პარტია თავიდანვე მკვდრადშობილი იყო — კრილოვის ცნობილი არაკისა არ იყოს.

— რუსთავის მერად რომ იყრით კენჭს, რისი იმედი გაქვთ?

— ყველა იმ ფაქტორისა, რისგანაც გამარჯვება ყალიბდება: ჩემი ცოდნა, გამოცდილება, პროფესიონალიზმი; ასევე, კონკრეტულად რუსთავის პრობლემების ცოდნა და ის ადამიანური თუ სხვა რესურსი, რაც ამ ქალაქში მაქვს. იქ გავიზარდე, დავამთავრე სკოლა, იქაა მამაჩემის საფლავი. ვიყავი რუსთავის მთავარი ექიმი, 5 000-კაციანი კოლექტივის ხელმძღვანელი. სხვათა შორის, დღევანდელი ჯანდაცვის მინისტრი დავით სერგეენკო, 1990 წელს, იმ საავადმყოფოში, სადაც მოხვედრა ჩაწყობის გარეშე შეუძლებელი იყო, პირდაპირი კონკურსის წესით მივაღებინე, სამშობიარო სახლის წამყვანი ექიმი გახდა, სტუდენტობაში ჩემი ახლო მეგობარი იყო. როცა „ვარდების რევოლუცია“ მოხდა და ცვლილებების შანსი გაჩნდა, პირველი, რაც გავაკეთე, ჩემი ინიციატივითა და ზურაბ ჟვანიას ხელმძღვანელობით, რუსთავის აღორძინების სახელმწიფო კომისია შეიქმნა. ეს ჩემი კატეგორიული მოთხოვნა იყო, რათა რუსთავისთვის ინდუსტრიული ქალაქის მნიშვნელობა დაგვებრუნებინა. მერე მაშინდელი ხელისუფლება დამიპირისპირდა და ქვეყნიდან წავედი. ამასობაში, რუსთავში, აღორძინების ნაცვლად, საშინელი პრივატიზაცია დაიწყო, რამაც ქალაქს კარგი არაფერი მოუტანა. 2006 წელსაც ვაპირებდი ჩამოსვლას, მეგონა, არჩევნებზე შანსი იყო, მაგრამ რეალურად, დღესაა პირველი შანსი, ქალაქის მერი პირდაპირი წესით აირჩეს. მყავს ადამიანთა უზარმაზარი ნრე, რომლებიც მენდობიან, მაქვს ცოდნა და ხედვა, რა გავუკეთო ამ ქალაქს და კონკრეტული გეგმებით მივდივარ რუსთავში.

— „მაესტროს“ სკანდალი, „ქართული პარტიის“ კრახი, ბიძინა ივანიშვილთან დაპირისპირება — ეს ყველაფერი თქვენს იმიჯზე ნეგატიურად არ აისახება?

— დღეს იმის შეჯიბრი კი არაა, ვინ როგორ გამოიყურება, არამედ იმის, ვის რა შეუძლია. ერთადერთი ბრენდი, რაც ქალაქმა რუსთავმა შვა, ანსამბლ „რუსთავის“ გარდა, ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ია. საერთაშორისო ცნობადობის სხვა ასეთი ბრენდი რუსთავში არ დაბადებულა. „მაესტრო“ კი იყო კომპანია, რომელიც ლაზარესავით მკვდარი გავაცოცხლე. ბიძინას ან ვინმეს კი არა, შიმშილსა და სიღარიბეს ვუპირისპირდები რუსთავში! ხალხმა უკვე წარმატებით აირჩია რუსთავში წინა მთავრობის კანდიდატი, ახლა „ოცნების“ მაჟორიტარი ჰყავთ და, თუ კმაყოფილები არიან, სხვა საქმეა. თუ სიახლე და რეალური წინსვლა სურთ, ალტერნატივა ეძებონ. ეს ალტერნატივა კი, მე ვარ.

— ახლა ეს ყველაფერი რიტორიკად რომ არ დარჩეს, რამდენიმე კონკრეტული დაპირება დაასახელეთ.

— მოქმედი კანონით, მერს სამწლიანი ვადა აქვს — სამ წელიწადში ყველაფერს ვერ მოვასწრებ, მაგრამ დღეს რუსთავის ბიუჯეტი დაახლოებით 20 მლნ დოლარია. არადა, მოსახლეობის რაოდენობიდან გამომდინარე, დღეს მინიმუმ 80 მლნ უნდა იყოს. ჩემი დაპირება ისაა, რომ 3 წლის შემდეგ ამ ქალაქის ბიუჯეტი გაორმაგდება და 40 მლნ დოლარი გახდება. გარდა ამისა, ამ 3 წლის განმავლობაში, ინვესტიციის სახით, 100 მლნ დოლარს მოვიზიდავ, რაც კომერციულ არასამუშაო ადგილებს გაზრდის და დამატებით, 10 000 ადამიანი დასაქმდება. ამ ფონზე, რუსთავის პენსიონერებს დანამატის სახით, პენსიაზე ერთ იმდენს კიდევ დავურიცხავთ და მათი პენსია გაორმაგდება. რაც შეეხება ახალგაზრდებს, რუსთავს აქვს პოტენციალი, საგანმანათლებლო ცენტრად იქცეს. ქალაქი საუნივერსიტეტო და სპეციალური განათლების ნაციონალურ, ხოლო შემდეგ რეგიონულ ცენტრად უნდა ვაქციოთ. ადგილობრივებისთვის კი სწავლა 50 %-ით იაფი იქნება. სხვათა შორის, 2009 წელს მე და ბიძინა ივანიშვილი ეროვნული განვითარების სტრატეგიის პროექტს ვაკეთებდით — ჩემი ფონდი „2020“-ითა და ივანიშვილის ფონდი „ქართუ“-თი, თუმცა ეს ზოგ-ზოგიერთებს დაავიწყდათ. ეს პროექტი ქართველი მეცნიერების მონაწილეობითაც კეთდებოდა. დღეს ეს ხალხი ჩემთან ერთად იმუშავებს ამ საკითხებზე და ჩემი გამარჯვების შემდეგ, ქალაქის განვითარების ჯერ 3-წლიანი, შემდეგ კი 5-წლიანი გეგმა გვექნება.

ალექსი პეტრიაშვილი: „ორ წელში საქართველოს მოქალაქეები შენგენის ქვეყნებში უვიზოდ იმოგზაურებენ!“

რას ითხოვს ევროკავშირი საქართველოსგან და რა რეკომენდაციები უნდა გაითვალისწინოს ხელისუფლებამ სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციისთვის?

მაია მიშელაძე
593-51-90-12

„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველომ“ სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის შესრულებასთან დაკავშირებით, მონიტორინგის შედეგები გამოაქვეყნა. გეგმა, რომელშიც ევროკავშირის მოთხოვნებია ასახული, საქართველოს 2013 წლის 25 თებერვალს გადმოეცა. „საერთაშორისო გამჭვირვალობის“ კვლევაში კი, 2014 წლის მარტის მდგომარეობით, ქართული მხარის მიერ სამოქმედო გეგმის ოთხივე ბლოკის შესრულების მონიტორინგის შედეგებია განხილული. კვლევა სამოქმედო გეგმის მხოლოდ პირველ ფაზას, ანუ საკანონმდებლო ცვლილებებს ეხება, მეორე ანუ იმპლემენტაციის ფაზაზე ჩვენი ქვეყანა ჯერ არ გადასულა.

სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგისას გამოჩნდა, რომ ევროკავშირის მოთხოვნათა დიდი ნაწილი საქართველომ უკვე დააკმაყოფილა, მაგრამ კვლავ რჩება საკითხები, რომლებსაც რეფორმირება სჭირდება. 2014 წლის მარტის მდგომარეობით, ევროკავშირის 31 მოთხოვნიდან, საქართველომ 13 სრულად, 11 მეტწილად, 6 სანახევროდ შეასრულა, ერთი კი მეტწილად არ შეუსრულებია.

გეგმის პირველი ბლოკი ბიომეტრიული პასპორტების ჩათვლით, დოკუმენტების უსაფრთხოებას ეხება, მეორე — საზღვრის ინტეგრირებულ მართვას, მიგრაციის მართვასა და თავშესაფრის პოლიტიკას, მესამე — საჯარო წესრიგსა და უსაფრთხოებას, მეოთხე კი — საგარეო ურთიერთობებსა და ადამიანის ძირითადი უფლებებს.

სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის კვლევაში, „საერთაშორისო გამჭვირვალობა — საქართველოს“ ანალიტიკოსებმა რეკომენდაციებიც შეიმუშავეს, რაც ხელისუფლებამ უნდა გაითვალისწინოს. მაგალითად, აუცილებელია სამგზავრო დოკუმენტებთან დაკავშირებული ხარვეზების აღმოფხვრა და იმ ვადის განსაზღვრა, როცა ქვეყნის ყველა მოქალაქემ ბიომეტრიული პასპორტები უნდა გამოიყენოს; ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირების სამგზავრო დოკუმენტების გაცემასთან დაკავშირებით, შესაბამისი სამართლებრივი აქტი უნდა შემუშავდეს; აუცილებელია მიგრაციის მართვა, მიგრაციის სამსახურის შექმნის დაჩქარება, რომელიც პასუხისმგებელი იქნება მიგრანტების მონაცემების მართვასა და ანალიზზე, არალეგალური მიგრანტების გამოვლენაზე, დაკავებასა და შესაბამის დაწესებულებებში განთავსებაზე; ცირკულარული მიგრაციის სქემა დროულად უნდა ამოქმედდეს; შესაბამისი ორგანოებისა და თანამდებობის პირებმა ინსტრუქციები ან შიდაგანკარგულებები უნდა შეიმუშაონ, რომლებიც დაბრუნებული პირებისთვის გადაუდებელი დახმარების გაწევის საკითხებს გაითვალისწინებს; უნდა შემუშავდეს შესაბამისი ინსტრუქციები და შიდასახელმძღვანელოები, რომლებიც გადაადგილების თავისუფლებას, ჯანმრთელობის დაცვის, განათლების, შრომითი და სოციალური უფლებების დაცვასთან დაკავშირებულ საკითხებს მოაწესრიგებს; კანონის აღსრულების სფეროში მოქმედ უწყებებს შორის ინფორმაციის გაცვლის უზრუნველსაყოფად, მონაცემთა გაცვლის უწყებათაშორის ელექტრონულ პროგრამაში, ყველა უწყება დროულად უნდა ჩაერთოს; შინაგან საქმეთა და ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრებმა ერთობლივი ბრძანება უნდა შეიმუშაონ, რაც თავშესაფრის მაძიებელთა მიმართ, საზღვარზე შესაბამისი პროცედურების ჩატარების წესს დაარეგულირებს; აუცილებელია დანაშაულთან ბრძოლის ინტენსიფიკაცია, ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში საკანონმდებლო და ინსტიტუციური ჩარჩოს გაუმჯობესება; ნარკომანიასთან ბრძოლის გასაუმჯობესებლად, სამართლებრივ აქტებში შეიტანოს საბამისი ცვლილებები უნდა განხორციელდეს; აუცილებელია ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერება, ტრეფიკინგთან დაკავშირებული სტატისტიკური მონაცემთა ბაზის შექმნა (პერსონალური მონაცემების დაცვით), რომელშიც ინფორმაცია დაყოფილი იქნება ტრეფიკინგის მსხვერპლის სქესის, ასაკის, ექსპლუატაციის ტიპის, წარმოშობა/დანიშნულების ქვეყნის შესაბამისად; უნდა გაძლიერდეს შრომითი ექსპლუატაციის წინააღმდეგ ბრძოლა; ფინანსური დანაშაულის, ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესი უნდა დაჩქარდეს და ამ საკითხებზე, საქართველოს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსში შესაბამისი ცვლილებები უნდა შევიდეს; ეროვნულ ბანკთან ერთად, სხვა კომპეტენტური უწყებაც უნდა განისაზღვროს, რომელიც ფინანსურ ტრანზაქციებთან დაკავშირებული დოკუმენტების შენახვის ვადას გაახანგრძლივებს; აუცილებელია სპეციალიზებული საფინანსო საქმეების გამომძიებლების გადამზადება და გამოძიების სტანდარტული ოპერაციული პროცედურების შემუშავება; შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებები უნდა განხორციელდეს, რათა სასამართლოს მიერ, ქონებაზე ყადაღის დადების შუამდგომლობა გაუქმდეს, როდესაც საკითხი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ განსაზღვრულ პირებს, ჯგუფებს ან გაერთიანებებს ეხება; აუცილებელია პერსონალური ინფორმაციის დაცვა, პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის საქმიანობის სრულყოფისთვის კი ინსპექტირების განხორციელების მეთოდოლოგიის შემუშავების პროცესი უნდა დაჩქარდეს.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა — საქართველოს“ ანალიტიკოსმა, **ლევან ნატროშვილმა** „ვერსიასთან“ საუბრისას აღნიშნა, რომ სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო ვადას ევროკავშირი არ განსაზღვრავს, თუმცა, რაც მალე შეასრულებს ქვეყანა ამ გეგმაში გაწერილ მოთხოვნებს, მით სწრაფად დაიწყება მოქალაქეების უვიზო გადაადგილება ევროკავშირის წევრ ქვეყნებში: **„ჩვენი ანგარიში მხოლოდ სამოქმედო გეგმის I ნაწილის მონიტორინგს ეხება. ამ მიმართულებით, მთავრობის მუშაობას, ასევე ზოგადად ამ პროცესს, დადებითად ვაფასებთ. დარწმუნებულები ვართ, ერთ წელიწადში, საქართველო ყველა იმ მოთხოვნას დააკმაყოფილებს, რაც ევროკავშირმა სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმაში გაწერა — საკმაოდ სწრაფი ტემპით მივიწევთ წინ. ორ წელიწადში კი, საქართველოს მოქალაქეები ევროკავშირში უვიზოდ მიმოსვლას შეძლებენ. მოლდოვამ, სადაც უვიზო რეჟიმი უკვე ამოქმედდა, სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმა 2 წელიწადში შეასრულა“.**

საინტერესოა, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის პირველი ფაზა ჯერ არ დაუსრულებია, რა შანსი აქვს ქვეყანას, ევროკავშირთან უვიზო რეჟიმი ამოქმედდეს, ან როდის შეძლებენ საქართველოს მოქალაქეები ამ გაერთიანებაში შემავალ ქვეყნებში უვიზოდ მიმოსვლას? „ვერსიას“ საქართველოს სახელმწიფო მინისტრი ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში, **ალექსი პეტრიაშვილი** ესაუბრება.

— ევროკავშირის სამოქმედო გეგმის 31 მოთხოვნიდან, საქართველომ ჯერ მხოლოდ 13 შეასრულა. ამის გამო, უვიზო რეჟიმის შემოღების პროცესი გადავადდება?

— პრაქტიკულად, მთავრობის ყველა სხდომაზე განიხილება საკითხები, რომლებიც ვიზის ლიბერალიზაციის გეგმასა და საკანონმდებლო ცვლილებებს უკავშირდება. ცოტა ხნის წინ, ევროინტეგრაციის სამთავრობო კომისიის სხდომა გაიმართა, სადაც საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე, თამარ ბერუჩაშვილი მოხსენებით წარსდგა. ამ მხრივ, ყველაფერი გეგმის მიხედვით მიდის. პირველი ფაზის დასრულება მიმდინარე წლის ზაფხულშია დაგეგმილი. სექტემბრიდან, როცა მეორე, დამაგვირგვინებელ, იმპლემენტაციის ფაზაზე გადავალთ, დამატებითი სამუშაოების გატარება და ძალისხმევა დაგვჭირდება. შესაბამისმა უწყებებმა უკვე დაიწყეს მეორე ფაზაში განსაზღვრული გარკვეული ღონისძიებების გატარება. მთავრობა აქტიურად თანამშრომლობს პარლამენტთან. ვვარაუდობთ, რომ 2015 წლის მაისში, როდესაც რიგაში, აღმოსავლეთ პარტნიორობის სამიტი გაიმართება, გაცხადდება, რომ საქართველომ წარმატებით დაასრულა მუშაობა, რასაც ევროკავშირის შესაბამისი გადაწყვეტილება მოჰყვება. კონსერვატიული გათვლებით, 2016 წლის დასაწყისში, რეალური შანსია, საქართველოსა და ევროკავშირს შორის უვიზო მიმოსვლა დაიწყოს. ამ თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია ანტიდისკრიმინაციული კანონის მიღება. გარწმუნებთ, დღეიდან ორ წელიწადში, საქართველოს მოქალაქეები შენგენის ქვეყნებში უვიზოდ იმოგზაურებენ!

— ევროკავშირი ამა თუ იმ ქვეყანას სამოქმედო გეგმის გაწერისას, მოთხოვნების შესასრულებლად, ვადასაც უთითებს?

— არა. კონკრეტული ღონისძიებების შესრულების, საკანონმდებლო აქტების მიღებისთანავე, ევროკავშირის შესაბამის სტრუქტურებთან კომუნიკაციის შედეგად, შემფასებელი მისიები ჩამოდიან. ისინი შეაფასებენ, როგორ განხორციელდა იმ პერიოდისთვის განსაზღვრული ამოცანები. სამოქმედო გეგმის მოთხოვნების შესრულების ვადა ჩვენზეა დამოკიდებული, მაგრამ ამ მიმართულებით საქმიანობის ორი წელი, 2016 წლის თებერვალში სრულდება. ვვარაუდობთ, სწორედ ამ დროს დაიწყება უვიზო მიმოსვლა ევროკავშირში.

— „საერთაშორისო გამჭვირვალობის“ რეკომენდაციებს გაითვალისწინებთ?

— სამოქალაქო საზოგადოების გააქტიურებას მივესალმებით. მომავალშიც აქტიურად გავაგრძელებთ კონსულტაციებს. რეკომენდაციებში ბევრი ისეთია, რასაც გავითვალისწინებთ.

— რეკომენდაციები, ძირითადად, ჯერ კიდევ მისაღებ კანონებს ეხება. მაგალითად, უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციასა და ფინანსურ დანაშაულთან დაკავშირებით, პარლამენტის შესაბამისმა კომიტეტმა უკვე მოამზადა გარკვეული კანონპროექტები, ამ მიმართულებით მუშაობა გრძელდება?

— რა თქმა უნდა, გაგრძელდება. დამშვიდების უფლება არ გვაქვს, მაგრამ არც ჩამოვრჩებით. პირიქით, შესაბამისი უწყებები საკმაოდ ეფექტურად და კოორდინირებულად მუშაობენ. მთავრობასა და საკანონმდებლო ორგანოში ყველას კარგად აქვს გაცნობიერებული, რა დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენი ქვეყნისთვის უვიზო რეჟიმის ამოქმედებას ევროკავშირის ქვეყნებთან.

ვერსიანიუსი

ევროსაბჭოს კომისრის მოხსენებაში უკანონო მოსმენების თემაც მოხვდა

ევროსაბჭოს ადამიანთა უფლებების დაცვის კომისარი ნილს მუიჟნიეკსი საქართველოში ვიზიტის შემაჯამებელ ანგარიშს აქვეყნებს. ანგარიშის ერთ-ერთი ქვეთავი უკანონო მოსმენებს ეთმობა. როგორც ნილს მუჟნიეკსი აღნიშნავს, საქართველოს ახალმა ხელისუფლებამ აღმოაჩინა 24 ათასი ვიდეო და აუდიოჩანაწერი, რომელიც არალეგალური გზით იყო მოპოვებული. ადამიანთა უფლებების დაცვის საკითხში ევროკავშირის სპეციალური მრჩევლის, თომას ჰამარბერგის თქმით, ჩანაწერები ასახავდა პირად ცხოვრებას, პოლიტიკოსების, ჟურნალისტებისა და სამოქალაქო საზოგადოების აქტივისტების საუბრებს, ვიდეოჩანაწერები კი შეიცავდა პატიმართა წამებისა და სექსუალური ძალადობის კადრებს: **„ოფიციალური განცხადებები გაკეთდა, რომ საქართველოში უკანონო სატელეფონო ჩანაწერები აღარ ხორციელდება და სატელეფონო ჩანაწერის მოსმენა მხოლოდ გამოძიების კონტექსტში, სასამართლოს ბრძანების საფუძველზე ხდება, თუმცა, გავრცელდა ინფორმაცია, რომ ქვეყნის მთავარი სატელეკომუნიკაციო კომპანიები კვლავაც აღჭურვილია „შავი ყუთებით“, რომლებიც უკანონო სატელეფონო მოსმენის საშუალებას იძლევა. ამ მხრივ, არასამთავრობოებმა და ევროკავშირის სპეციალურმა მრჩეველმა გამოხატეს შეშფოთება, ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე გამოძიების ნაკლებობის გამო და ხაზი გაუსვეს ოპერატიული და საგამოძიებო საქმიანობის შესახებ კანონში ცვლილებების აუცილებლობას, რათა შესაბამისობაში მოვიდეს საერთაშორისო სტანდარტებთან, განსაკუთრებით, კონფიდენციალური უფლებების კუთხით“.**

ევროსაბჭოს ადამიანთა უფლებების დაცვის კომისარი მიესალმება საქართველოში პატიმართა მოპყრობის კუთხით მდგომარეობის გაუმჯობესებას და ციხეებში გამჭვირვალობისა და საზოგადოებრივი კონტროლის გაძლიერებას.

ევროკომისარი მოუწოდებს საქართველოს ხელისუფლებას, გადადგას ნაბიჯები ციხეებთან დაკავშირებით „წამების საწინააღმდეგო კომიტეტის“ (CPT) რეკომენდაციების შესასრულებლად: **„უნდა გადაიდგას ნაბიჯები ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლის შესაბამისად, კონფიდენციალური უფლებების დასაცავად, მათ შორის — უკანონო თვალთვალის შედეგად მოპოვებული მასალების ფლობისა და შეგროვების უკანონოდ ცნობით. ტექნიკური და ფიზიკური თვალთვალი უნდა დარეგულირდეს და ნებისმიერი ასეთი აქტივობა სასამართლოს ზედამხედველობით განხორციელდეს“.**

ამასთან, კომისარი მიესალმება პერსონალური მონაცემების ინსპექტორის დანიშვნას. ევროსაბჭოს ადამიანთა უფლებების დაცვის კომისარი ნილს მუიჟნიეკსი საქართველოში 20-დან 25 იანვრის ჩათვლით იმყოფებოდა.

„ინტერპრესნიუსი“

საქართველო მალე Google voice-ის წევრი გახდება

ქართველი კიბერმეცნიერის უნიკალური პროგრამის პრეზენტაცია ლონდონში მოეწყობა

ბრუსუდან შელია
557-100-768

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორის მიერ შექმნილი პროგრამის წყალობით, მალე საქართველოს შესაძლებლობა ექნება, Google-voice-ის წევრი გახდეს. მარტივად რომ ვთქვათ, პროგრამის საშუალებით, კომპიუტერში ხმოვანი ტექსტები კლავიატურის გარეშე აიტვირთება. კიბერსამყაროსგან შორსმყოფი პირებისთვის ირაკლი ქარდავა საკუთარი გამოგონების შესახებ დეტალურად „ვერსიასთან“ საუბრობს.

— სოხუმის უნივერსიტეტის დოქტორანტი ვარ, ამჟამად დისერტაციაზე ვმუშაობ, კერძოდ კომპიუტერული პროგრამების მიმართულებით. ჩემი ამოცანაა, ადამიანებს კლავიატურაზე თითის დაჭერით ავტომატურად, სასურველი კომპიუტერული ბრძანების განხორციელების შესაძლებლობა ჰქონდეთ.

— **იქნებ დეტალურად აგვიხსნათ, რა კომპიუტერულ ოპერაციაზეა საუბარი?**

— მარტივი პრინციპია — კომპიუტერს ვესაუბრებით და ისიც ხმოვან პასუხს გვიბრუნებს. ღილაკზე თითის დაჭერა არ იქნება საჭირო, კომპიუტერს „სიტყვით მიმართავ“ და ისიც „ადეკვატურად გიპასუხებს“, შესაბამისად, მაუსი და კლავიატურა მეორეხარისხოვანი ხდება. ამ პროგრამას მსოფლიოში Speech recognizer ეწოდება, რაც ხმის ამომცნობს ნიშნავს. ადამიანი სიტყვებს წარმოთქვამს, კომპიუტერი კი ამ სიტყვების ტექსტურ ვარიანტს კლავიატურაზე აკრეფის გარეშე ქმნის. შესაბამისი პროგრამის აპლიკაცია არამხოლოდ კომპიუტერის, მობილური ტელეფონებისთვისაც შეიქმნება. სამწუხაროდ, საქართველოში ეს მიმართულება საკმაოდ დაბალ დონეზეა.

— **თქვენი პროგრამის მიხედვით ტექსტის კორექტურაც შესაძლებელია?**

— ჩემი კვლევის მიმართულება კომპიუტერული ლინგვისტიკაა, ანუ პროგრამაში სიტყვები გრამატიკულად გამართული იქნება. თუ ადამიანმა გრამატიკა კარგად არ იცის, პროგრამას აქვს ფუნქცია, და არასწორად დაწერილი სიტყვის სწორ ვარიანტს შემოგვთავაზებს. შესაძლოა, ამ შემთხვევაში ქართული ენის სასწავლო ელემენტებიც ჩაერთოს. ამ პროგრამით სარგებლობის შემთხვევაში, ინტერვიუს ტექსტის აკრეფა არ დაგჭირდებათ, უბრალოდ, ხმოვან ჩანაწერს შეიყვანთ პროგრამაში, რომელსაც იგი ტექსტად თავად გარდაქმნის, შესაბამისად, მედიის წარმომადგენლებისთვის საქმე მარტივდება — დროც იზოგება და ნერვებიც... პარალელურად, მონიტორისგან თვალს ვასვენებთ.

— **მსგავსი პროგრამა მსოფლიოში არსებობს, თუმცა ქართულ ენაზე ადაპტირებულს მომხმარებელს მხოლოდ თქვენ სთავაზობთ. პროგრამის სრულყოფაზე მარტო მუშაობთ თუ სპეციალისტების ჯგუფიც?**

— ნანა გულუა და ჯემალ ანთიძე ჩემი ხელმძღვანელები არიან და მათი მითითებით, პროგრამის რეალიზებას ვახდენ. პროგრამა მხოლოდ საერთაშორისო — ინგლისურ, რუსულ, ჩინურ და იაპონურ ენებზეა ადაპტირებული., საქართველოსთვის კი, პირველი პრეცედენტია. პრეზენტაციას ლონდონში ან ესპანეთში ვგეგმავთ, სადაც დეტალებს გავშიფრავთ.

— **თქვენ მიერ შემუშავებულ პროგრამას საქართველოში ადეკვატური გამოხმაურება მოყვა?**

— გამოხმაურება იმდენად დიდი იყო, ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. ორი დღის განმავლობაში დაახლოებით 200-მდე ზარი მივიღე, როგორც მედიის წარმომადგენლებისგან, ისე კერძო და სახელმწიფო უწყებებიდან. პროგრამა დატესტილია, უბრალოდ, ჩემი ხმის გამოცნობა შეუძლია — ჩემი ხმის აკუსტიკური მოდელი შევქმენი. ერთ-ერთი მიზეზი, რის გამოც ეს პროგრამა გავასაჯაროე ისაა, რომ მისი შექმნისას, საზოგადოების აქტიურად ჩართვის სურვილი მქონდა. ვაგროვებ 200 ადამიანის 10-წუთიან ჩანაწერს, რათა შევქმნა აკუსტიკური მოდელი, რომელიც მომავალში რამდენიმე მილიონი ადამიანის ხმის აღქმას შეძლებს. ელექტრონულ ფოსტაზე geospeechrecognizer@gmail.com 10-წუთიანი ჩანაწერი უნდა გამომიგზავნონ.

— **ამჯერად რამდენი ჩანაწერი გაქვთ?**

— ჯერჯერობით, მხოლოდ ერთი. ეს პროგრამა უნივერსალურია იმითაც, რომ ჩვეულებრივი საუბრის, ყოველგვარი პაუზის გარეშე გაჟღერებული ტექსტის გაშიფვრა შეუძლია. ვფიქრობ, უსინათლო ადამიანებისთვის მოსახერხებელი იქნება — ისინი კომპიუტერთან მუშაობას „ხმოვანი სახით“ შეძლებენ. სხვათა შორის, ამ საკითხთან დაკავშირებით ერთ-ერთ უწყებასთან მოლაპარაკებას ვაწარმოებთ და გამიხარდა, რომ პროგრამით დაინტერესდნენ. ეს ნიშნავს, რომ უწყება უსინათლო ადამიანების პრობლემას ყურადღებას უთმობს.

— **კომერციული ინტერესი არ გაქვთ, არ აპირებთ პროგრამის დაპატენტებას?**

— ჩემი აზრით, კომერციულ პროექტებს აპატენტებენ, მე კი მეცნიერული ნაშრომის გამოქვეყნების სურვილი მაქვს, ასე რომ, კერძო პირებისთვის სრულიად უფასო იქნება. როგორ შეიძლება ქართული ენის პოპულარიზაცია შემოსავლის წყაროდ ვაქციო? თუ რომელიმე ფირმას ან სახელმწიფო სტრუქტურას დასჭირდება, მხოლოდ კომპიუტერში პროგრამის დამონტაჟების საფასურის გადახდა მოუწევს. სხვათა შორის, Google voice-ის შემქმნელებთან ურთიერთობა გვაქვს და ენის აკუსტიკურ მოდელს მალე ჩამოვაყალიბებთ. როცა პროცესი დასრულდება, გოოგლე-ში ქართული ხმის, ანუ ამ პროგრამის ინტეგრირება მოხდება. წარმოიდგინეთ, შესაძლებლობა, რომელიც დღეს მხოლოდ რამდენიმე საერთაშორისო ენას აქვს, მალე ქართველებსაც გვექნება. უკვე გავაკეთე ბლოგი, სადაც პროგრამის შესახებ ვწერ და სხვადასხვა ქვეყნიდან საკმაოდ დიდი გამოხმაურება მოყვა. უახლოეს მომავალში პროგრამის პრეზენტაციას სოხუმის უნივერსიტეტში ვგეგმავთ.

— **პროგრამის დამუშავებაში სტუდენტებიც არიან ჩართულნი?**

— ჯერჯერობით, არა, მაგრამ ამის სურვილი მაქვს. უბრალოდ, სტუდენტებს სტიმული ჭირდებათ, ენთუზიაზმზე მუშაობა უჭირთ, რადგან ყოფითი პრობლემები აქვთ. კარგი იქნება, თუ სტუდენტებისთვის სამუშაო გარემოს შევქმნი, როცა თავადაც მიხვდებიან, რომ საქმის მნიშვნელოვანი ნაწილები არიან, მეტ დაინტერესებას გამოიჩენენ. საქართველოში მეცნიერების აღორძინებას სწორედ მსგავსი მიდგომით შევძლებთ.

— **განათლების სამინისტროს შესაბამისი წინადადებით უკვე მიმართეთ?**

— დიახ, მაგრამ ჯერჯერობით, პასუხი არ მიგვიღია. პრინციპში, დისერტაციის დასაცავად არსებული ნაშრომიც საკმარისია, მაგრამ, როცა მსგავსი შესაძლებლობა ჩნდება, რატომ უნდა გავჩერდეთ? პირიქით, ქართველებმა საკუთარი შესაძლებლობების განვითარება უნდა შევძლოთ, რადგან ქვეყანაში მეცნიერული მიმართულებით, პრობლემების მიუხედავად, საკმაოდ სერიოზული პოტენციალია.

რუსთაველები მწვანე ზოლში მშენებლობას აპროტესტებენ

ლეონიძის ქუჩის მკვიდრებმა მერიასა და საკრებულოში საჩივარი შეიტანეს

მერაბ ბერიძე
599-45-50-26

რუსთავში, ლეონიძის ქუჩის მცხოვრებლები მწვანე ზოლში სტიქიური მშენებლობის დაწყებას აპროტესტებენ. როგორც აქციის ერთ-ერთმა მონაწილემ, **იმედო ასანიშვილმა** განაცხადა, ამ დროს მასობრივად ხდება ხეების მოჭრა ან სხვა ტერიტორიაზე გადარგვა. გადარგული ხეები კი ხმება: **„ლეონიძის ქუჩაზე სტიქიურად აშენდა უსახური ნაგებობები, არადა მთავრობა გვპირდებოდა, ლეონიძის ქუჩის გასწვრივ ისევე, როგორც მეგობრობისა და შარტავას ქუჩებზე ფეხით მოსიარულეებისთვის ბილიკები გაკეთდებოდა. ამის ნაცვლად, ჩვენს ქუჩაზე რამდენიმე უსახური შენობა აშენდა და მწვანე ზოლი ნელ-ნელა იჩეხება“.**

„ვერსიას“ იმედო ასანიშვილი გამოუტყდა, რომ ლეონიძის ქუჩაზე მწვანე ზოლში მშენებლობის გასაპროტესტებლად, ქალაქის ხელისუფლებაში საჩივარსაც შეიტანენ, რათა ჩეხვა შეჩერდეს: **„გული გვტკივა, რომ შემორჩენილი მწვანე ზოლი და ნაძვები ნადგურდება. თვალშისაცემია, რომ ლეონიძის ქუჩამ სახე დაკარგა. მიმდებარე ტერიტორია მთლიანად მწვანე ნარგავებს ეკავა. დღეს მთლიან გაყოლებაზე უსახურ ნაგებობებს აშენებენ, რამაც ადგილობრივი მოსახლეობის უკმაყოფილება გამოიწვია. მარჯვნივ დასახლებაა, გზის მარცხენა მხარეს სკვერია. ეს მწვანე ზოლი ლეონიძის ქუჩას ამშვენებდა, ახლა კი ძველი იერსახე გამქრალია. ასევე, ჩვენი ბინა ქარის ზონაშია მოყოლილი. აქ ქარსაცავი უნდა გაკეთებულიყო. იმის ნაცვლად, ახალი ნარგავების განაშენიანება მოეხდინათ, მთელი ქუჩის განადგურება დაიწყეს, ჭრიან ხეებს და მწვანე ზოლში არმატურებიან შენობებს დგამენ. ამან მოსახლეობის აღშფოთება გამოიწვია. რა თქმა უნდა, როგორც ასეთ დროს ხდება ხოლმე, მოსახლეობას არავინ არაფერი ჰკითხა, რამაც ლოგიკურ უკმაყოფილებამდე და მშენებლობების მეპატრონეებთან დაპირისპირებამდე მიგვიყვანა. ქალაქის ხელმძღვანელობას მივმართეთ, საქმის კურსში ჩავაყენეთ და გადაწყვეტილებას ველით. იმედია, აღიკვეთება ხეების გაჩეხვა და მწვანე საფარის განადგურება. ამისთვის, რუსთავის მერიაში და საკრებულოს სახელზეც მოსახლეთა ხელმოწერებით განცხადებები შევიტანეთ. თვითმმართველობამ ეს უკანონო პროცესი უნდა შეაჩეროს“.**

საბოლოო გადაწყვეტილებამდე, აქციის მონაწილეებს რუსთავის მერიის არქიტექტურისა და მიწის მართვის სამსახურების წარმომადგენლები შეხვდნენ. რუსთავის მერიაში აცხადებენ, რომ ტერიტორია წინა ხელისუფლების დროს გასხვისდა და დღევანდელ თვითმმართველობას მიწის კანონიერი მეპატრონისთვის მშენებლობის აკრძალვის უფლება არ ჰქონდა.

„შესაძლებელია, წინა მთავრობა ჰპირდებოდა მოსახლეობას, რომ ლეონიძის ქუჩაზე გაკეთდებოდა ხეივანი, მაგრამ სწორედ მათ დროს გაიყიდა ეს ტერიტორია პირობითი აუქციონის წესით. თვითმმართველობას უფლება არ ჰქონდა, კეთილსინდისიერი მყიდველისთვის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე მშენებლობა აეკრძალა. თუ ლეონიძის ქუჩის მცხოვრებლები მერიაში შემოიტანენ საჩივარს, თვითმმართველობა დაიწყებს საქმის წარმოებას და მშენებლობა ვითარების გარკვევამდე შეჩერდება“, — აცხადებს რუსთავის მერიის პრესსამსახურის უფროსი **თამარ აქუბარდია.**

ლეონიძის ქუჩის მაცხოვრებლებმა მერიასა და საკრებულოში საჩივარი უკვე შეიტანეს და დადებით გადაწყვეტილებას ელოდებიან.

რუსუდან შელია
557-100-768

მამუკა არეშიძე: „საქართველო გამოუვალ მდგომარეობაშია“

რა პროვოკაციებს გეგმავს რუსეთი და რა ღონისძიებები უნდა გააფაროს ხელისუფლებამ მოქალაქეების გატაცების ასარიდებლად

11 მაისს, დონეცკისა და ლუგანსკის ოლქებში რეგიონის სტატუსის თაობაზე ე.წ. რეფერენუმი გაიმართა, თუმცა ცივილიზებული მსოფლიო შედეგებს არ აღიარებს. ამერიკის სახელმწიფო ადმინისტრაციის მიერ გავრცელებულ განცხადებაში რეფერენდუმის შედეგები მოქმედი კანონმდებლობის დარღვევად, ქვეყნის დაყოფისა და შემდგომი არეულობებისკენ მიზანმიმართულ ქმედებად შეფასდა. უკრაინაში მიმდინარე მოვლენების ფონზე, საქართველოდან, კერძოდ, საჩხერიდან გატაცებული ადამიანების რაოდენობა 30-მდე გაიზარდა. როგორ განვითარდება მოვლენები ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ და რა პროვოკაციებისთვის ემზადება რუსეთი, „ვერსიას“ ექსპერტი კავკასიის საკითხებში მამუკა არეშიძე ესაუბრა.

— ჯონჯოლის სეზონზე საჩხერეში ადამიანების გატაცება, სამწუხაროდ, ერთგვარ ტრადიციად იქცა, ამის შესახებ როგორც გაერო-ში, ისე ეუთო-შიც ინფორმირებულნი არიან, მაგრამ ქართულმა მხარემ პრევენციისთვის კონტრლონისძიება დღემდე ვერ შეიმუშავა. რუსეთი დიდი ხანია დანაშაულების პრევენციის კომისიის სხდომაზე ქართულ მხარესთან ერთად ე.წ. საზღვრის საკითხზე მსჯელობას ითხოვს, მაგრამ ბუნებრივია, ხელისუფლება ამ წინადადებას არ თანხმდება, რადგან ამ პროცესის დაწყება ოფიციალურად საზღვრის დემარკაციას ნიშნავს, ამიტომ ოსური მხარე მაქსიმალურად სარგებლობს და ე.წ. საზღვარიც დროთა განმავლობაში ფართოვდება.

— რუსეთის პროვოკაციების იგნორირებას ხელისუფლება ასოცირების ხელშეკრულებაზე ხელმოწერის მოახლოებით ამართლებს. თუ ვიმსჯელებთ, უკრაინის მოვლენების ფონზე, რუსეთის შესაჩერებლად რეალური ბერკეტი არსებობს?

— საქართველო მართლაც გამოუვალ მდგომარეობაშია, მაგრამ ხელისუფლებაში ისეთი ადამიანები არ არსებობენ, რომელთაც ამ მიმართულებით რეალური ნაბიჯების გადადგმის შესაძლებლობა აქვთ, არადა ქართველების გატაცებისთვის პრევენციული ღონისძიებების ჩატარება აუცილებელია. რაც შეეხება საქართველოს ასოცირების ხელშეკრულებაზე ხელმოწერას, მსგავსი საუბრები თვალთმაქცობაა, რადგან ეს საკითხი რუსეთისთვის მეორეხარისხოვანია. — აქცენტს სექტემბერში დაგეგმილ ნატო-ს სამიტზე აკეთებს, თუმცა ყველაფერი უკრაინაში მოვლენების განვითარებაზეა დამოკიდებული — თუ რუსეთი უკრაინაში მიზანს მიაღწევს, საქართველოსთან მიმართებაში აბსოლუტურად შეუვალი იქნება.

— ბოლო პერიოდში განვითარებული მოვლენები არ მიანიშნებს, რომ რუსეთს მიზნის განხორციელებაში ხელს ვერავინ უშლის? მიუხედავად იმისა, რომ აშშ-მ დონეცკსა და ლუგანკსში ჩატარებული რეფერენდუმი დაგმო, სეპარატისტთა ლიდერებმა ოლქების დამოუკიდებლობა, მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობის მხარდაჭერით გამოაცხადეს.

— უკრაინის ოლქებში ჩატარებული რეფერენდუმი ფრაგმენტული იყო. სეპატარისტულმა ჯგუფებმა უმძიმესი შეცდომა დაუშვეს, რადგან რეფერენდუმზე დამკვირვებლები რუსეთიდანაც არ ჩასულან, მათ გარეშე კი მსგავსი ტიპის ღონისძიება ავტომატურად არალეგიტიმური ხდება; მეტიც, დონეცკისა და ლუგანსკის ოლქებში ჩატარებული რეფერენდუმი სამარცხვინო გახდა. მათ მიერ შემოთავაზებული ციფრების მიხედვით, 8 წამი საკმარისია, მოქალაქე უბანში შესულიყო, ბიულეტენი აეღო და 20 კითხვაზე ეპასუხა. ახლა რუსეთი ცდილობს, დანარჩენი მსოფლიოს დასანახად უკრაინის ხელისუფლებასთან მოლაპარაკების მაგიდასთან სეპარატისტული ჯგუფები დასვას. საქართველომ ეს გზა 90-იანი წლების დასაწყისში, აფხაზეთსა და „სამხრეთ ოსეთში“ უკვე გაიარა.

— რუსეთის კიდევ ერთ მიზანი 25 მაისის საპრეზიდენტო არჩევნების ჩაშლაა...

— რუსეთი ორ ოლქში ჩატარებული არჩევნებით საპრეზიდენტო არჩევნებს ვერ ჩაშლის, თუმცა, ბუნებრივია, მიზნის მისაღწევად ყველაფერს გააკეთებს. თუ ბრძოლა სასურველი ანგარიშით ვერ მოიგო, ვითარებას ისე შემოატრიალებს, უკრაინა დანარჩენი მსოფლიოსთვის არამომხიბვლელ სახელმწიფოდ აქციოს. სამწუხაროდ, უკრაინამაც უამრავი შეცდომა დაუშვა, განსაკუთრებით, სამხედრო კონტინგენტისა და ძალოვანი სტრუქტურების განლაგების საკითხში.

— ლოგიკურად, უკრაინას სამხედრო შეცდომები რომ არ დაეშვა და ძალოვანი სტრუქტურებიც სწორად განელაგებინა, პუტინის შეჩერებას შეძლებდა? თავიდანვე ნათელი იყო, უკრაინას დასავლეთის ადეკვატური დახმარება სჭირდებოდა.

— რუსეთის წინააღმდეგ ფინანსური სანქციები გრძელვადიან პერსპექტივაზეა გათვლილი და მომავალში რუსულ ეკონომიკას სერიოზულ დარტყმას მიაყენებს, მაგრამ ნაწილობრივ, ეს გადაწყვეტილება დასავლეთსაც ბუმერანგივით მოუბრუნდება. სწორედ ამის ეშინია და სურს, რუსეთს ფინანსური დანაკარგების გარეშე დაუპირისპირდეს, თუმცა არ გამოსდის. მაგალითად, რუსეთის წინააღმდეგ სანქციების დაწესების ხელშეწყობისთვის გერმანიის ბიუჯეტმა 30 მილიარდით იზარალა, მაგრამ ეს გადაწყვეტილება რომ არ მიეღო, 60 მილიარდს დაკარგავდა. ასეთ ვითარებაში მთავარია, დასავლეთში ერთიანობა შენარჩუნდეს და სახელმწიფოები ერთმანეთს არ გამოეცალონ, როგორც ეს მსოფლიო პოლიტიკაში ხშირად ხდება.

— იმ ფონზე, როცა დასავლეთი რუსეთის წინააღმდეგ გაერთიანებას ვერ ახერხებს, დუმაში დასავლელი მაღალჩინოსნების წინააღმდეგ სანქციების დაწესებაზე თავად მსჯელობენ, ეს „ცივი ომია“?

— თვალთმაქცობა გამოგვივა, თუ ვიტყვით, რომ პროცესები მხოლოდ „ცივი ომის“ დასაწყისზე მიანიშნებს, რადგან უკვე ვართ „ცივი ომის“ პირობებში. მართალია, ვითარება 70-იანი წლებისგან განსხვავდება, მაგრამ მაშინ გეოპოლიტიკაც განსხვავებული იყო. პუტინი მსოფლიო თამაშის ახალ წესებს ამკვიდრებს, ასეთ პირობებში კი დასავლეთი ერთიანი არ არის. რუსეთის წინააღმდეგ აშშ, გერმანია და დიდი ბრიტანეთი აქტიურობენ, საფრანგეთი და ესპანეთი პასიურ პოზიციას ირჩევენ. ამ ეტაპზე, პუტინს ენერგომატარებლების დოლარით ვაჭრობის რუბლით ჩანაცვლება სურს და, თუ მიზანს მიაღწია, დასავლეთის ეკონომიკას სერიოზული ზიანი მიადგება. ამას თეთრ სახლშიც კარგად აცნობიერებენ, ამიტომ პროცესები ქაოსურია. ფაქტია, დღეს რუსეთი უპირატეს მდგომარეობაშია, მაგრამ ვიმეორებ, ხანგრძლივ პერსპექტივაში დასავლეთს რუსეთის ეკონომიკის დაქცევა შეუძლია.

— ვის აქვს გარანტია, რომ მანამდე რუსეთი ევროპაში უფრო ღრმად არ შეიჭრება?

— რა თქმა უნდა, უკრაინის მოსაზღვრე ქვეყნებმა ჩათვალეს, რომ რუსეთის სამხედრო ძალების მათ ტერიტორიაზე განთავსების ალბათობა საკმაოდ რეალური გახდა. სლოვაკეთის სამხედრო ფორმირება სრული შემადგენლობით, საზღვართან უკვე მობილიზებულია; პოლონეთმაც ძირითადი სამხედრო ძალა უკრაინა-პოლონეთის საზღვართან გადაისროლა, რაც შეეხება ევროპაში რუსეთის ამბიციებს, ამ ეტაპზე მისი განხორციელება გამორიცხულია. უკრაინაში კონტროლის შენარჩუნებაზე რუსეთი სოლიდურ ფინანსებს ხარჯავს. მაგალითად, ყირიმის მოვლენებზე პუტინმა 60 მილიარდი რუბლი უკვე დახარჯა, ეკონომიკის განვითარებისთვის კი 70 ტრილიონი რუბლი სჭირდება. რუსეთის ეკონომიკა ამ დარტყმას ვერ გაუძლებს, თუმცა პუტინმა ევროპისკენ პატარა ნაბიჯები მაინც გადადგა. ვფიქრობ, ყველაფერი 6 ივნისს დაგეგმილ ღონისძიებაზე გადაწყდება, ევროპაში მოკავშირეების შესვლის საიუბილეო თარიღის აღნიშვნის ცერემონიას აშშ-ს, საფრანგეთის, დიდი ბრიტანეთისა და რუსეთის ლიდერები დაესწრებიან. სავარაუდოდ, პუტინი 6 ივნისამდე უკრაინის ოლქებში ჩატარებულ რეფერენდუმზე აპელირებას არ დაიწყებს და მათთან დალაპარაკებას კიდევ ერთხელ შეეცდება. რა შედეგით დასრულდება შეხვედრა, პროგნოზირება ახლა შეუძლებელია.

— საფრანგეთის პრეზიდენტის საქართველოში ვიზიტიც ამ შეხვედრის წინაპირობაა?

— რა თქმა უნდა, საქართველოში საფრანგეთის პრეზიდენტიც ვიზიტი სწორედ ამ პროცესის ნაწილია. მიუხედავად იმისა, რომ რუსეთის წინააღმდეგ საფრანგეთი პასიურობს, მზადაა პუტინს სამხედრო გემი „მისტრალი“ მიყიდოს, კავკასიასთან მიმართებაში სხვა სახელმწიფოებთან შედარებით აქტიური აღმოჩნდა. განსაკუთრებით კი, ყარაბაღის კონფლიქტში, რადგან საფრანგეთი მინსკის ჯგუფის ერთ-ერთი თავმჯდომარეა. ყარაბაღის კონფლიქტში დასავლეთიც გააქტიურდა, რადგან ეშინია, რუსეთმა სამშვიდობო ძალები კავკასიის სამხრეთით არ განალაგოს.

— ყარაბაღის კონფლიქტის გაღვივება რუსეთს რატომ აწყობს ან გეოპოლიტიკური გადანაწილების პროცესში რა როლს შეასრულებს?

— ყარაბაღში საფრთხე რეალურია. თანაც 8 მაისს, მინსკის ჯგუფში აშშ-ს წარმომადგენელმა განაცხადა, შესაძლოა ამერიკის სახელმწიფო ადმინისტრაციამ ყარაბაღის დამოუკიდებლობა აღიაროსო. ეს განცხადება პრევენციისთვის გაკეთდა, რათა რუსეთს უკან დაეხია. ასე მოხდა და აშშ-მაც საკუთარი განცხადება უკან წაიღო. რაც შეეხება საქართველოს, რუსმა მესაზღვრეებმა სოფელ ორჭოსთან. ბაქო-სუფსის მილსადენზე განათავსეს ბანერი წარწერით — „ეს სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაა“. ამით რუსეთმა პირველი ნაბიჯი გადადგა, რადგან შემდეგი სამიზნე ბაქო-ჯეიჰანია. სინამდვილეში, რუსეთს საქართველოს კი არა, აზერბაიჯანის შეჩერება უნდა, რათა ევროპას ენერგომატარებლები რუსეთისგან დამოუკიდებლად არ მიაწოდოს. ამით პუტინი კონფრონტაციაში შედის როგორც დასავლეთთან, ისე აზერბაიჯანსა და თურქეთთან, მაგრამ, როგორც ჩანს, უღირს კიდეც. ახლა რუსეთი დასავლეთის რეაქციას ელოდება.

— იქნებ ირაკლი ალასანიას განცხადება, საქართველოში ნატო-ს ბაზების შესაძლო განთავსების შესახებ, რუსეთის წინააღმდეგ დასავლეთის რეაქცია იყო?

— ცხადია, ირაკლი ალასანიას განცხადებაც ლოგიკურად ამ პროცესის გამოძახილად უნდა ჩავთვალოთ. ფაქტობრივად, დასავლეთმა რუსეთს უპასუხა — თუ არ შეჩერდები, ნატო-ს სამხედრო ბაზას საქართველოში განვათავსებთო. პოლიტიკაში ასე ვაჭრობენ. სავარაუდოდ, ახლა ყველაფერი კულუარულად, საქართველოს, უკრაინის, გერმანიისა და საფრანგეთის გარეშე გადაწყდება. დიდ ქვეყნებში პოლიტიკას ასე „აკეთებენ“.

ვერსიანიუსი

პრემიერის ინიციატივით, მუცოს რეაბილიტაცია-რესტავრაცია ჩაუტარდება

პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი ხევსურეთში პირადად ჩასვლასა და ყველა პრობლემის ადგილზე გაცნობას გეგმავს. მთავრობის მეთაური სინანულს გამოთქვამს, რომ წლების განმავლობაში ამ ისტორიული ძეგლისთვის თანხის გამოყოფა ვერ მოხდა: **„ციხე-ქალაქი მუცო უნიკალური არქიტექტურული და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი, განადგურების პირასაა. მიუხედავად იმისა, რომ მუცო საქართველოს ყველაზე მძიმე მდგომარეობაში მყოფ ისტორიულ ძეგლთა სიაში იყო, წლების განმავლობაში ვერ მოხერხდა შესაბამისი თანხების გამოყოფა და მისი დაცვა. სასწრაფოდ მივიღებთ გადამჭრელ ზომებს და არ დავუშვებთ, საფრთხე დაემუქროს ხევსურეთის და საქართველოს დარაჯად წოდებულ შუა საუკუნეების ამ უძველეს ისტორიულ ძეგლს. კულტურული მემეკვიდრეობის გადარჩენა და მომავალი თაობებისთვის შენარჩუნება ყველა პასუხისმგებლობის მქონე ხელისუფლების ვალია, ამიტომ მივიღე გადაწყვეტილება, უახლოეს დღეებში პირადად ჩავიდე პირიქითა ხევსურეთში და ადგილზე გავეცნო ყველა პრობლემას. ყველა ღონეს ვიხმართ, რომ მუცოს, ამ უნიკალური ძეგლის სრული რეაბილიტაცია-რესტავრაცია მოხდეს“.**

„პირველი“

ჯარიმის ინსტიტუტიც შეიცვლება და ზღვარიც დადგინდება

სისხლის სამართლის პროცესში ჯარიმის ინსტიტუტის შეცვლა იგეგმება. იუსტიციის სამინისტრო ამ მიმართულებით „სისხლის სამართლის კოდექსის“ ზოგად ნაწილში ცვლილებებს ამზადებს. იუსტიციის მინისტრის მოადგილის, ალექსანდრე ბარამიძის განმარტებით, პროექტის სამუშაო ვარიანტით გათვალისწინებულია, რომ ჯარიმა არ შეიძლება პირს დაეკისროს, თუკი „სისხლის სამართლის კოდექსის“ მუხლი, ან მუხლის ნაწილი ჯარიმას, როგორც დამატებით სასჯელს, არ ითვალისწინებს: **„არადა, ჯარიმას ახდევინებდნენ ყველა შემთხვევაში, განურჩევლად იმისა, ითვალისწინებდა თუ არა სასჯელის ამგვარ სახეს „სისხლის სამართლის კოდექსის“ რომელიმე მუხლი“.**

პარალელურად, წესდება ჯარიმის ზღვარი. ალექსანდრე ბარამიძის თქმით: **„კიდევ უფრო მახინჯი პრაქტიკა წარმოიშვა, რადგან არ იყო დადგენილი ჯარიმის მაქსიმალური ოდენობა. ასეთ ვითარებაში, თუ გადამხდელი მდიდარი კაცი იყო, აკისრებდნენ ძალიან ბევრს, ხოლო ღარიბს, იგივე ქმედებისთვის — ბევრად ნაკლებს. რიტორიკულია კითხვა, რამდენად სამართლიანია ეს. აქედან გამომდინარე, განსაზღვრული იქნება ჯარიმის მაქსიმალური ოდენობები და ასევე დღეებთან მიბმული გამოთვლის წესი. ხდებოდა ისე, რომ ოფიციალურად გირაოს თანხას ახდევინებდნენ, შემდეგ ამას სასჯელად აფორმებდნენ და ჯარიმად უთვლიდნენ. ეს დღეს პრაქტიკაში აღარ მოქმედებს, მაგრამ გადაიკეტება საკანონმდებლო მექანიზმებითაც“.**

„ინტერპრესნიუსი“

დაპირისპირება ქუთაისის ოპერის თეატრში

მერაბ ბერიძე
599-45-50-26



მელიტონ ბალანჩივაძის სახელობის ქუთაისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის დირექტორი ხატია ვედმედევა სამსახურიდან გაათავისუფლეს. თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი **გოგი ჭიჭინაძე** ყოფილ დირექტორთან კონფლიქტს უარყოფს და არ ადასტურებს გავრცელებულ ინფორმაციას, თითქოს ხატია ვედმედევას გათავისუფლების მითითება მთავრობიდან მიიღო. სამაგიეროდ, არ უარყოფს, რომ მას თანამდებობა პირადი გადაწყვეტილების საფუძველზე დაატოვებინა: **„ქალბატონი ხატია ეცადა გაეკეთებინა ყველაფერი, რისთვისაც ამ თანამდებობაზე იყო წარდგენილი. ფინანსების მოზიდვას ვგულისხმობ, თუმცა ეს საკმარისი არ აღმოჩნდა — ვერ აკმაყოფილებს მოთხოვნებს, რაც საჭიროა ამ თანამდებობაზე წარმატებული მუშაობისთვის. მისი არადამაკმაყოფილებელი პროფესიული ჩვევების გამო, გაუმართლებელია, ოპერის დირექტორი იყოს. შესაბამისად, თანამდებობის დატოვება შევთავაზე“.**

გოგი ჭიჭინაძე ასევე ადასტურებს, რომ თეატრის ყოფილ დირექტორს კრების ჩატარების უფლება არ მისცა: **„ქალბატონ ხატიას შესაძლებლობა ჰქონდა, საკუთარი ინიციატივით წასულიყო თანამდებობიდან, ეს მისთვის უკეთესი იქნებოდა, მაგრამ თეატრიდან ღირსეულად წასვლა არ ისურვა და ხალხის შეკრება თანამდებობიდან გათავისუფლების შემდეგ მოინდომა. ეს ჩემთან შეუთანხმებლად მოხდა. ქალბატონი ხატია შეეცადა, კრება ჩაეტარებინა, რისი უფლებაც, ხელმძღვანელთან შეუთანხმებლად, თეატრის თანამშრომელსაც კი არ აქვს. მე უნდა მცოდნოდა ამის შესახებ. ერთად მოვილაპარაკებდით, რა ფორმით იქნებოდა ეს შესაძლებელი. როცა თეატრში მოვედი, ფაქტის წინაშე აღმოვჩნდი“.**

მისივე თქმით, ხატია ვედმედევამ თვეების განმავლობაში ვერ მოახერხა თეატრის მენეჯმენტის მართვა და ამის შესახებ მიწერა კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრს: **„ქალბატონმა ხატიამ, როგორც დირექტორმა, თვეების განმავლობაში, შესაძლებლობები სრულად ვერ გამოავლინა. ვერც საკმარისი თანხები მოიზიდა, ვერც ჯანსაღი ატმოსფერო ან გარემო შექმნა. თეატრთან დაკავშირებით, დიდი ხანია, აჟიოტაჟია ატეხილი, რაც თეატრის იმიჯზე უარყოფითად აისახა. ქალბატონი ხატია, როგორც მენეჯერი, ვერ გაუმკლავდა პრობლემებს, ვერ დაარეგულირა ვითარება. დღეს თეატრს უამრავი ფინანსური პრობლემა აქვს. ვალებს ვერ დავაკონკრეტებ“.**

თავად ხატია ვედმედევა სამსახურიდან გათავისუფლების გადაწყვეტილებას თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელს, გოგი ჭიჭინაძეს უკავშირებს. ყოფილმა დირექტორმა ოპერის თეატრის წინ ბრიფინგი გამართა და განაცხადა, რომ ისე გამოუშვეს სამსახურიდან, თანამშრომლებთან დამშვიდობების უფლება არ მისცეს: **„მინდოდა, შემეკრიბა კოლექტივი, გადამეხადა მათთვის მადლობა და ისე წავსულიყავი სამსახურიდან, თუმცა სამხატვრო ხელმძღვანელმა, გოგი ჭიჭინაძემ კატეგორიულად მოითხოვა, რადგან უკვე აღარ ვიყავი ოპერის თანამშრომელი და ოპერა დამეტოვებინა“.**

ექსდირექტორი ფინანსური დარღვევების გამო გათავისუფლებას უარყოფს და ამბობს, რომ აუდიტის მიერ დაფიქსირებულ ფინანსურ დარღვევებთან კავშირი არ აქვს. ხელი ბუღალტრისკენ გაიშვირა, რომელიც ძველი მმართველობის დროს იყო დანიშნული და დღემდე ვერ მოახერხა მისი გათავისუფლება. ამის მიზეზად კი, თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელის კაპრიზს ასახელებს. ვედმედევამ გოგი ჭიჭინაძის წერილიც წარმოადგინა, რომლის ადრესატიც, კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი გურამ ოდიშარიაა: **„ქალბატონი ხატია ვედმედევა ვერ აკმაყოფილებს იმ მოთხოვნებს, რაც საჭიროა აღნიშნულ თანამდებობაზე მუშაობისთვის. განვლილმა პერიოდმა ცხადყო, რომ თეატრის დირექტორის, ქალბატონ ვედმედევას მოღვაწეობა თეატრში მისი არადამაკმაყოფილებელი პროფესიული ჩვევების გამო გაუმართლებელია, რის გამოც, როგორც სამხატვრო ხელმძღვანელი და თეატრზე პასუხისმგებელი პირი წინააღმდეგი ვარ იმისა, რომ ის თანამდებობაზე დარჩეს“.**

„ვერსიასთან“ საუბრისას, **ხატია ვედმედევა,** თანამდებობიდან გათავისუფლების მიზეზებზე ამახვილებს ყურადღებას: **„ჩემი გათავისუფლების მოტივი კონფლიქტია გოგი ჭიჭინაძესთან. ამის გამომწვევი არასწორი შემოქმედებითი მუშაობაა. თვეში ერთი სპექტაკლი ძალიან ცოტაა — ასეთი დაგეგმარებით, თეატრის შემოსავლები მისი ნორმალურად ფუნქციონირებისთვის არასაკმარისი იყო. პასუხისმგებელი მუშაობის დაგეგმარებაზე თავად გოგი ჭიჭინაძეა, თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი. შემოქმედებით სფეროში არსებულ დარღვევებზე, კულტურის სამინისტროს ხელმძღვანელობასა და ქუთაისის ხელისუფლებას 2 მაისს მივმართე წერილით: „2013 წლის 10 სექტემბრიდან ქუთაისის მელიტონ ბალანჩივაძის სახელობის ოპერისა და ბალეტის პროფესიული სახელმწიფო თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელის თანამდებობაზე დაინიშნა გოგი ჭიჭინაძე, ხოლო დირექტორის თანამდებობაზე დავინიშნე მე, ხატია ვედმედევა. დანიშვნის დღიდან 7 თვის განმავლობაში, გოგი ჭიჭინაძე თეატრში იმყოფებოდა სულ 3 კვირა, მან ორთვენახევრით დაითხოვა ორკესტრი, ხოლო ხელფასი ჩვეულებრივ გაიცემოდა, რაც დაეტყო სამუშაო პროცესს და თეატრის შემოსავლებზე აისახა. ვინაიდან იგი არ ასრულებდა დაკისრებულ მოვალეობას, თვეში გადიოდა მხოლოდ ერთი სპექტაკლი, არადა შემოქმედებითი ჯგუფი მზად იყო, თვეში სულ მცირე 6 სპექტაკლი დაედგა. მან ასევე არ გაითვალისწინა შემოქმედების ხშირი მოთხოვნა სამხატვრო საბჭოს შექმნის შესახებ. ამ საბჭოს შექმნის შესახებ მოთხოვნა განპირობებული იყო იმ გარემოებით, რომ თავად არ იმყოფებოდა თეატრში, მან ასევე ერთპიროვნულად, შემოქმედებით კოლექტივთან შეუთანხმებლად, დანიშნა დასის ხელმძღვანელი, მიუხედავად მათი წინააღმდეგობისა. ჩვენი კონფლიქტის საბაბი გახდა ის გარემოება, რომ მისი მეგობარი და ჩვენი თეატრის რეჟისორი მაია გაჩეჩილაძე ხელშეკრულების მიხედვით სრულ განაკვეთზეა გაფორმებული და მიმდინარე წლის განმავლობაში სამსახურში იმყოფებოდა 3 სამუშაო დღე, სახელმწიფო ბიუჯეტიდან კი ხელფასს სრულად იღებდა. დასის ხელმძღვანელი, ქალბატონი მაია ნიკოლაძე ჩემი ინფორმაციით, სრულ განაკვეთზეა გაფორმებული რამოდენიმე სახელმწიფო სამსახურში და მისი ხელშეკრულების მიხედვით სარგებლობს კანონით გათვალისწინებული სამუშაო და დასვენების დღეებით (ხელშეკრულებაში არაა მითითებული საგამონაკლისო პირობები).**

მე ვიმყოფები ზეწოლის ქვეშ გოგი ჭიჭინაძის მხრიდან, რაც გამოიხატა შემდეგში – იგი არ მაძლევდა ამ ფაქტებზე ინფორმაციის მოწოდების შესაძლებლობას სამინისტროსთვის, ასევე მ/წლის 30 აპრილს ჩემ სამუშაო კაბინეტში თანამშრომლების თანდასწრებით გამომიცხადა, რომ დამეწერა განცხადება სამსახურიდან წასვლის შესახებ, მისი თქმით, აღნიშნული დავალებული ჰქონდა მთავრობის მხრიდან.

მიუხედავად ბუღალტრის მხრიდან უამრავი დარღვევისა, რაც კარგადაა გაშიფრული აუდიტის დასკვნაში, გოგი ჭიჭინაძემ არ მომცა შესაძლებლობა ბუღალტერთან შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტისა.

მოგმართავთ თხოვნით, გამოიკვლიოთ ჩემ მიერ მითითებული ფაქტები და შესაბამისი რეაგირება მოახდინოთ. საჭიროების შემთხვევაში, მტკიცებულებად შეგიძლიათ გადახედოთ გოგი ჭიჭინაძის საგასტროლო გრაფიკსა და თბილისის კონსერვატორიაში მის მოღვაწეობას“.

რაც შეეხება, დასახელებულ „ფინანსურ დარღვევებს“, „ვერსიასთან“ საუბრისას ხატია ვედმედევა ამ ფაქტთან კავშირს კატეგორიულად უარყოფს: **„ფინანსურ დარღვევებთან არანაირი კავშირი არ მაქვს. მინდოდა, დასისთვის რეალური ვითარება ამეხსნა და დავმშვიდობებოდი, რაც, ალბათ, ჩემს მოწინააღმდეგეებს არ სურდათ ან ეს ამბავი აშინებდათ, ამიტომ ჩემი მათთან შეხვედრა არ დაუშვეს. სარჩელის შეტანაზე ვფიქრობ. სამიზნე არ არის ეს თანამდებობა, ჩემთვის უმთავრესი თეატრის კეთილდღეობაა. თეატრში ჩემი მოწინააღმდეგეები არიან მაია ნიკოლაძე, თემურ თევზაძე და გოგი ჭიჭინაძე. ალბათ, სურთ ერთპიროვნული მართვა და არანაირი შეპასუხება. დანარჩენი მათ იკეთ უწყიან“.**

კულტურის მინისტრმა გურამ ოდიშარიამ ხატია ვედმედევას გათავისუფლების შესახებ გადაწყვეტილებას ხელი უკვე მოაწერა. აუდიტის სამსახური ქუთაისის საოპერო თეატრს ერთი თვის განმავლობაში ამოწმებდა და გარკვეულ ფინანსურ დარღვევებზე ამახვილებდა ყურადღებას.

სიღნაღის საავადმყოფოს კოშმარი

უწყდო კლინიკა და ჯანმრთელობისთვის სახიფათო სასწრაფოს მანქანები

მერაბ ბერიძე
599-45-50-26

ხელისუფლების წარმომადგენლების ოპტიმისტური განწყობის მიუხედავად, ქართული ჯანდაცვის სისტემა კვლავ ვერ დგას მონოდების სიმაღლეზე — რეგიონებში არსებული ვითარება კრიტიკას ვერ უძლებს, ხშირად, ადამიანები ელემენტარული კომუნიკაციის პრობლემებსა და უყურადღებობას უჩივიან, რაც მარტო ჯანდაცვის სფეროს გამოწვევა არ არის.

„ვერსიას“ სიღნაღის რაიონის სოფელ ბოდბის მკვიდრი, **სოსო კოჭლამაზაშვილი** დაუკავშირდა და არსებულ რეალობაზე უამბო იმედით, რომ ამას წაიკითხავენ ისინი, ვისაც მსგავსი მდგომარეობის ანალიზი და გადაწყვეტილებების მიღება ევალება. კოჭლამაზაშვილს იმედი აქვს, რომ აღნიშნულ პრობლემას ხელისუფლება განსაკუთრებულ ყურადღებას „წინასაარჩევნო ციებ-ცხელების დროს“ აუცილებლად მიაქცევს: **„ორჯერ მქონდა რაიონულ საავადმყოფოსთან შეხება. პირველად 2008 წელს, თავზე უმარტივესი ოპერაცია დამჭირდა, რომელიც ათ წუთში დასრულდა. ჩემდა გასაკვირად, აღმოჩნდა, რომ ამხელა საავადმყოფოში წყალი არ ჰქონდათ და მირჩიეს, სისხლი „სელპაკის“ ქაღალდით მომეწმინდა, თურმე, მომსახურე პერსონალს დასალევი წყალი ბოთლებით დაჰქონდა და რადგან დღის მეორე ნახევარი იყო, უკვე დაეცალათ. გარეთ მეგობარი მელოდებოდა, ძმა ახალი გარდაცვლილი ჰყავდა – გასისხლიანებული თავით დამინახა თუ არა, ცუდად გახდა, ძლივს დავამშვიდე. ამ დროს, სიყვარულის ქალაქი შადრევნით ამაყობდა. საავადმყოფოში მოსვლის „ბედნიერება“ მეორედ შარშან მქონდა — ხელი მძიმედ დამიზიანდა და სასწრაფო სამედიცინო დახმარება დამჭირდა. ჩემი სახლიდან სიღნაღამდე 10-15 წუთის სავალია. 50 წუთში მოვიდნენ. მანამდე, სოფლის საპარიკმახეროში ბიჭი ყვებოდა, როგორ დააგვიანა სასწრაფომ მის ბებიასთან. მერე ხუმრობდა კიდეც, თუ სიდედრი გამიხდა ავად, სასწრაფოთი უნდა წავიყვანო, იქნებ თავიდან მოვიცილოო. როცა ამ ლეგენდარულ მანქანაში თავად აღმოვჩნდი, მივხვდი, თანასოფლელი ბიჭი არ ხუმრობდა — სასწრაფოს მანქანას, ნამდვილად შეეძლო არათუ ავადმყოფის, უბრალოდ, სუსტი ჯანმრთელობის მქონე ადამიანის რეალური საფრთხის ქვეშ დაყენება. წარმოიდგინეთ, წნორის საავადმყოფომდე 8 კმ-ია, იქამდე ჩასვლას საათზე მეტხანს მოვუნდით. ორიოდე კვირის წინ, მეგობარმა გამოიძახა სასწრაფო, ტრადიციულად, 50 წუთში მოვიდა, თუმცა სიახლეც იყო, მანქანა საშინლად ჭრიალებდა. ავადმყოფი მძიმედ იყო და ოჯახმა უარი თქვა მის გადაყვანაზე. მგზავრობა სიკვდილს უდრიდა. ამ მანქანებით ავადმყოფის კი არა, ჯანმრთელი ადამიანების გადაყვანა არ შეიძლება. ყველა დამეთანხმება, ვინც ერთხელ მაინც მჯდარა იქ. ბოლო 3 წელიწადში, რაიონის ბიუჯეტი ჯამში 20 მილიონ ლარამდე იყო, მაგრამ როგორც ჩანს, უფრო „მნიშვნელოვან“ საქმეებს მოახმარეს. ძალიან გთხოვთ, დაბეჭდეთ, რასაც გიამბობთ. იქნებ, მთავრობაში ვინმემ მაინც მოგვაქციოს ყურადღება და ამ წინასაარჩევნოდ მაინც გამოსწორდეს ვითარება სიღნაღის საავადმყოფოში“.**

სუდოკუ ყველანაირი

ადვილი

9		7	2					
	4		1		8	2		
		1	7		3		9	
8		6				3		
	7						5	
		2				8		9
	5		9		6	1		
		9	4		5		2	
					7	9		5

სტანდარტი

		3		5				
4			3		7		2	
			6			7		
		4		1				8
	2		7		9		4	
9				8		3		
		2			6			
	4		9		5			3
				2		8		

რთული

			1	2				
		6				7	5	3
		8	7		3			
			8			6	7	
8			5		7			4
	3	7			2			
			3		8	1		
7	1	9				2		
				7	1			

ექსპერტი

		6					5	
				3		8		7
		8			2			
	5		8					1
4	3			1			2	8
2					5		3	
			7			3		
8		2		6				
	9					4		

ბორნეულნეებს გზას ესიჯით დაულოცავენ

გერმანელ მორწმუნეებს, ვისაც შვებულებაში წასვლის წინ ან შორეული მგზავრობისთვის მღვდელმსახურის კურთხევა სურს, ეკლესიაში წასვლა აღარ დასჭირდებათ — კათოლიკე პასტორი დიტმარ ჰერგი ქალაქ მაინციდან მრევლს მოკლე ტექსტური შეტყობინებით ლოცავს. გერმანელი ეპისკოპოსების კონფერენციის თანახმად, მორწმუნეებმა კურთხევის მისაღებად გარკვეულ ნომერზე მესიჯი უნდა გაგზავნონ სიტყვით Reisesegen — „კეთილი მგზავრობა“, პასუხიც არ დააყოვნებს და რამდენიმე წუთში უკვე მშვიდად შეძლებენ გამგზავრებას.

ოპერის მომღერალმა ვანდალები დააფრთხო

სახელგანთქმული საოპერო მომღერლის, კირა ტე-კანავას ხმამ ქალაქ ოკლენდის ცენტრიდან ვანდალები გაყარა. ქალაქის მერის განცხადებით, ხულიგნები მას შემდეგ აღარ აფუჭებენ სკულპტურებსა და ხელოვნების სხვა ნიმუშებს, რაც ცენტრალურ ქუჩაზე რეგულარულად ისმის კლასიკური მუსიკა, მათ შორის არიები კირა ტე-კანავას შესრულებით. მუსიკის ხმა ქალაქის ცენტრში უკვე სამი წელია იფრქვევა და რეპერტუარიც საკმაოდ მრავალფეროვანია — მოცარტი, ვივალდი, ჩაიკოვსკი... თუმცა, მერის თქმით, მთავარი მაინც ლედი კირას ხმაა. ჰოდა, ვისაც არ უყვარს საოპერო მუსიკა და სიმღერა, არ ჩერდება იქ.

მამაკაცებს წითელი ფერი იგიდავს

ამერიკელმა მეცნიერებმა გამოკვლევები ჩაატარეს იმის გასარკვევად, რა გავლენა აქვს წითელ ფერს ადამიანების ურთიერთობაზე. როჩესტერის უნივერსიტეტის ფსიქოლოგიური ექსპერიმენტის შედეგად დადასტურდა, რომ ქალის ტანსაცმლის წითელი ფერი მამაკაცების ყურადღებას იპყრობს. სხვადასხვა კულტურებსა და ეპოქაში წითელი რომანტიკულსა და ვნებიანთან ასოცირდებოდა. ამ ფერს იყენებდნენ უძველეს დროს წარმართულ რიტუალებშიც, წითელი გული — შეყვარებულთა დღის სიმბოლოა, წითელი ვარდი — სიყვარულის გამომხატველი. რაოდენობრივად რომ შეეფასებინათ წითელი ფერი, სწავლულებმა იმ მამაკაცების ემოციური პასუხები განიხილეს, რომლებიც სხვადასხვა ფერის (თეთრი, წითელი, რუხი, მწვანე ან ლურჯი) ტანსაცმელში გამოწყობილი ქალების ფოტოებს ათვალიერებდნენ. ექსპერიმენტის მონაწილეებს უნდა ეთქვათ, რამდენად ლამაზია ქალი სურათზე, რომელ სამოსში გამოიყურება უკეთ და სურთ თუ არა ასეთ მანდილოსანთან ურთიერთობა? წითელმა ფერმა, დიდი უპირატესობით, პირველობა მოიპოვა და მამაკაცებმაც ყველაზე მომხიბლავად ამ ფერის სამოსში გამოწყობილი სუსტი სქესის წარმომადგენლები დაასახელეს, თუმცა ექსპერტები იმასაც აღნიშნავენ, რომ ფერის მნიშვნელობა კონტექსტზეა დამოკიდებული — გამოცდაზე ან სპორტულ შეჯიბრებებზე კონკურენტის ტანსაცმლის წითელი ფერი, ადამიანს აღიზიანებს.

წინა ნომერში გასუდლი სკანვორდისა და სუდოკუს პასუხები

ადვილი

8	7	6	5	4	3	2	1	9
2	9	1	7	8	6	5	3	4
5	4	3	2	1	9	8	7	6
4	8	7	3	2	5	6	9	1
1	6	2	4	9	8	3	5	7
3	5	9	6	7	1	4	8	2
9	1	5	8	6	4	7	2	3
7	3	4	1	5	2	9	6	8
6	2	8	9	3	7	1	4	5

სტანდარტი

9	6	2	5	4	8	3	1	7
8	7	4	6	3	1	9	5	2
1	5	3	7	2	9	8	6	4
3	9	5	4	7	2	6	8	1
2	1	8	9	6	5	7	4	3
7	4	6	1	8	3	2	9	5
5	3	1	2	9	6	4	7	8
6	8	7	3	1	4	5	2	9
4	2	9	8	5	7	1	3	6

ადვილი

2	1	9	8	4	7	5	6	3
4	7	6	5	9	3	2	1	8
8	3	5	2	1	6	9	7	4
7	9	4	3	2	5	1	8	6
6	8	3	9	7	1	4	2	5
5	2	1	6	8	4	7	3	9
3	6	2	7	5	9	8	4	1
1	5	8	4	6	2	3	9	7
9	4	7	1	3	8	6	5	2

სტანდარტი

4	2	8	1	7	5	3	9	6
3	9	7	8	6	2	5	4	1
1	6	5	9	3	4	2	8	7
9	1	6	7	5	3	4	2	8
2	8	4	6	1	9	7	5	3
7	5	3	4	2	8	1	6	9
8	7	9	5	4	1	6	3	2
6	4	2	3	8	7	9	1	5
5	3	1	2	9	6	8	7	4

რთული

5	4	3	1	9	8	2	7	6
8	2	1	7	6	5	9	4	3
6	9	7	4	3	2	1	5	8
3	1	2	9	8	7	4	6	5
4	6	9	5	1	3	8	2	7
7	5	8	2	4	6	3	1	9
2	8	6	3	7	4	5	9	1
1	7	5	8	2	9	6	3	4
9	3	4	6	5	1	7	8	2

ექსპერტი

2	3	1	5	4	7	9	8	6
9	8	6	3	2	1	7	5	4
7	5	4	9	8	6	3	2	1
6	1	7	8	5	2	4	9	3
8	4	2	1	9	3	6	7	5
5	9	3	7	6	4	2	1	8
3	2	5	6	1	9	8	4	7
1	7	9	4	3	8	5	6	2
4	6	8	2	7	5	1	3	9

რთული

4	9	8	7	6	1	5	3	2
7	3	2	5	9	8	1	4	6
1	6	5	4	3	2	9	8	7
3	2	7	6	1	9	8	5	4
6	8	4	3	5	7	2	1	9
5	1	9	8	2	4	7	6	3
2	7	6	1	4	5	3	9	8
9	5	3	2	8	6	4	7	1
8	4	1	9	7	3	6	2	5

ექსპერტი

2	3	1	9	7	8	4	6	5
8	9	5	6	1	4	3	7	2
7	6	4	5	3	2	1	9	8
5	4	8	7	2	9	6	3	1
3	2	9	1	8	6	7	5	4
1	7	6	4	5	3	8	2	9
9	1	2	8	6	7	5	4	3
6	5	3	2	4	1	9	8	7
4	8	7	3	9	5	2	1	6

მე-10 გვერდი: 1. შემასმენელი; 2. გილგამეში; 3. შატილი; 4. მერცხალი; 5. სტეინიცი; 6. ელია; 7. ინცესტი; 8. განიმედი; 9. მონანდრია; 10. შური; 11. სტარტერი; 12. ანათემა; 13. უმი; 14. არსენიტი; 15. ცენტნერი; 16. არენდა; 17. ინბრიდინგი; 18. ელო; 19. არიმანი; 20. „ლონდრე“; 21. გლახუნა; 22. სამანი; 23. ალისა; 24. სცილა; 25. ბრედლი; 26. იეტი; 27. პელე; 28. ლაყე; 29. ერინია; 30. ლოთი; 31. ასიკო; 32. გნოლი; 33. ქსუ; 34. პუდელი; 35. „ლეგია“; 36. დაიმი; 37. დოგარესა; 38. დონ; 39. სემანტიკა; 40. ტანდემი; 41. რკალი; 42. სოლ; 43. ფილე; 44. რეა; 45. ასო; 46. ნამი; 47. ლუარა; 48. „ელი“; 49. ენგრი; 50. ლომე; 51. რიალი; 52. ბარაკ; 53. სირ; 54. მეი; 55. მესკია; 56. კისა; 57. კაა; 58. კობრა; 59. ეის; 60. სუმო; 61. მეტისი; 62. სიმენი.

მე-12 გვერდი: 1. რექტორი; 2. კონსტანცია; 3. სინუსი; 4. აფექტი; 5. ევერესტი; 6. ტოპიარია; 7. რეტი; 8. ბრონტე; 9. ონიქოფაგია; 10. ტასო; 11. ელპიტე; 12. პაოლო; 13. ქურქი; 14. ფოფოდია; 15. არგო; 16. პაიე; 17. ოლე; 18. რაგუ; 19. ფენი; 20. აპო; 21. „ილიადა“; 22. ქალა; 23. ტრიო; 24. ფიქალი; 25. ალეპო; 26. კრინოლინი; 27. უფიცი; 28. პკე; 29. პი; 30. „რიენცი“; 31. პატრიცია კაასი; 32. პური; 33. როტვეილერი; 34. ოსირისი; 35. აკოფი; 36. დეფო; 37. პარიტეტი; 38. ყრუ; 39. გოა; 40. რეიდი; 41. ონისე; 42. ემისია; 43. სიო; 44. იგივეობა; 45. ოცი; 46. მარილი; 47. ციგა; 48. გეი; 49. იბლისი; 50. პერიგეა; 51. ფრაკი; 52. მარსო; 53. იდა; 54. ასტანა; 55. სუსანა; 56. ასმათი; 57. არამისი; 58. აბაი; 59. ომარი; 60. შივა; 61. დრო; 62. ილფი; 63. სენატი; 64. ტივი; 65. მოლა; 66. ნაომი; 67. ოკრიბა; 68. პა; 69. ასტამი; 70. კლონი; 71. აღუ; 72. ბალ; 73. ილია; 74. სამასი; 75. უსუპი; 76. ანაშა; 77. ათი; 78. იზაი; 79. იდეა; 80. სი; 81. ფლავი; 82. ზებუ; 83. ლეპრა; 84. შასი; 85. აია.

1.მიხვეულ-მოხვეული გზა მთებში
2.ებრაელი, რომელიც ღმერთმა შეარჩენა და საუკუნო ხეტიალი მიუსაჯა
3. ხერხ-ემლის ძვალი
4. მანძ. საზომი ერთ. ასტრონომიაში
5. ავთანდილის თანამდ. „ვეფხის-ტყაოსნში“
6. დონ-კიხოტის ცხენის სახელი
7. ტყავის თხელი ფენა რისამე ზედაპირზე
8. ვიოლინოების იტალიელი ოსტატი
9. იგივეა, რაც არჩვი
10. სოფელი ბორჯომის რაიონში
11. სუფთა მოგება ძიუდოში
12. პატარა საწნახელი
13. ცისარტყელას ქალღმერთი
14.მოდერნისტული მიმართ. რუს. პოეზიაში
15. იბნ სინას ლათინური სახელი
16. იტალიის ეროვნული ვალუტა
17. უფერული ზეთოვანი სითხე
18. ინდიელთა შხამი
19. სოფელი გორის რაიონში
20. ყველაზე პატარა თითი
21. უმცირესი სამნიშნა რიცხვი
22. კანი ფრჩხილის ირგვლივ
23. ესკიმოსთა ქურთუკი კაპიუშონით
24. ჟეფლისწყაროს აღმზრდელის სახელი „სიბრძნე სიცრუისა“-ში
25. თარაშ ემხვარის ცხენი
26. იმპოტენციის სამკურნალო წამალი
27. გერმანიის საფეხბურთო კლუბი
28. სხვადასხ. მხარეს მზირალი თვალები
29. დადებითად დამუხტული ელექტრონი
30. ფრანგული ნივრიანი საწებელი
31. პარკოსანი მცენარე
32.გაზაფხულის მომსწავებელი ყვავილი
33.ქრისტიანობისთვის წამებული არაბი
34. მოგზაური მარკო ...
35.ლეგენდარული ბერძენი სპორანო
36. იტალიის საფეხბურთო ნაკრების ყოფილი თავდამსხმელი
37. ოპერა „კარმენის“ კომპოზიტორი
38. დიდი ფრანგი მოქანდაკე
39.ქალაქი ბელგიაში
40.მარჯნის კუნძული
41. იგივეა, რაც ტუჩი
42. ფრანგი მწერალი
43. უნგრეთის დედაქალაქი
44. საესტრადო წარმოდგენის სახეობა
45. აგავასებრთა ოჯახის მცენარე
46.ინგლის. ფეხბურთელი ... რუნი
47. ტბა ფინეთში
48. ორგანული ნაერთი
49. წყალქვეშა კლდე
50.სტივენ სიგალის ცნობილი კინოროლი
51. გერდას მეგობარი ბიჭუნა
52. მალდივის რესპუბლიკის დედაქალაქი
53. ბრტყელი კუთხეების საზომი ერთეული
54. ხის კორძი, ნუკრი
55.ხეჭილის ნაყ. მაგარნაჭუჭიანი თესლი
56. ლომი სიმბას მეუღლე
57.შვიდი ჯუჯას მეგობარი გოგონა
58. ჩქარეული კინოგადაღება
59.პირველი პირის ნაცვალსახელი

უსინდისო თანამშრომლების ბაზა შექმნეს

აშშ-ს მსხვილი სავაჭრო ქსელების მფლობელებმა, ერთობლივი ძალისხმევით, ერთიანი ონლაინბაზა შექმნეს, რომელშიც უპასუხისმგებლო თანამშრომლები შეიყვანეს, ისინი, ვინც სამსახურში ქურდობაშია შემჩნეული. წინასწარი მონაცემებით, მხოლოდ 2011 წელს ამერიკული სავაჭრო ქსელები, საკუთარმა თანამშრომლებმა 15 მილიარდზე მეტი დოლარით აზარალეს. ასეთი ბაზის შექმნის შემდეგ, სამსახურში პერსონალის მიღებისას, კანდიდატებს ონლაინსიაში მოიკითხავენ. ბაზა არ არის ხელმისაწვდომი გარემომხმარებლისთვის, რათა დაინტერესებულმა პირებმა შესწორება ვერ მოახერხონ. გარდა ქურდობაში შემჩნეულებისა, ბაზაში შეჰყავთ ისეთი თანამშრომლებიც, ვინც უპასუხისმგებლოდ ექცევა სამუშაოს — ხშირად აცდენს, გამოსასვლელ დღეებს იღებს, ხშირად ეთავისუფლება უფროსობას „საყვარელი ბებიის დაკრძალვაზე“ წასასვლელად. ბაზა ჯერ მხოლოდ ორიოდე თვეა ამოქმედდა და წარმატებაზე ლაპარაკი ნაადრევია, თუმცა ამ დროისთვის სიაში უკვე ათასობით უსინდისო თანამშრომელია.

Appraisal.llc

შპს „აპპრაისალი“ გთავაზობთ,

უძრავი და მოძრავი ქონების შეფასებას

ალექსანდრე ფურცელაძე
მისამართი: ნუცუბიძის №16ა
ტელ.: (5)99 22 98 33
ელ-ფოსტა: a.purtseladze@gmail.com

ქალაქის ჰაერი ჰიპერტონიას იწვევს

მეგაპოლისების ჰაერი წნევის მატებას იწვევს და აზიანებს გულ-სისხლძარღვთა სისტემას, — ამტკიცებენ ამერიკელი მეცნიერები. საშიში ნივთიერებების ხანმოკლე ზემოქმედებაც კი 10 კვირის განმავლობაში ადამიანს „ჰიპერტონიკად“ აქცევს, მიზეზი კი აქტიური ინდუსტრიული საქმიანობაა — ნახშირის წვა, ავტომანქანების გამონაბოლქვი, ელექტროსადგურების მუშაობა... ოჰაიოსა და მიჩიგანის უნივერსიტეტების სპეციალისტების განცხადებით, გარემოს სამი დამაბინძურებელი, რომელიც ჰაერში ურბანიზაციის შედეგად ხვდება — ოზონი, აზოტის დიოქსიდი და გოგირდის დიოქსიდი — ნეგატიურ გავლენას ახდენს გულ-სისხლძარღვთა ფუნქციასა და სისხლის წნევაზე. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემებით კი ყოველწლიურად მოულოდნელი გარდაცვალების სამი მილიონი შემთხვევა სწორედ ეკოლოგიას უკავშირდება.

სამკაული სტრესის წინააღმდეგ

ფსიქოლოგები გვარწმუნებენ, რომ ბიჟუტერიას მკურნალობა შეუძლია — ახალი საყურისა თუ ბეჭდის ყიდვა განწყობას ამაღლებს, სამკაულის მოსინჯვა კი ერთგვარ ტრანსს იწვევს და ყოველდღიური პრობლემებისგან განტვირთვის საშუალებას გვაძლევს, რაც ბევრად სასარგებლოა ჩვენი ნერვული სისტემისთვის, ვიდრე 8-საათიანი ძილი. ყოველდღიური დაძაბული ცხოვრების რიტმიდან რომ ამოვარდეთ, საკმარისია მაგიდაზე გაშალოთ ბიჟუტერია და რამდენიმე წუთით საყვარელ ბეჭდებს, ყელსაბამებსა თუ საყურეებს თვალი გადაავლოთ. ფერადი შუშის ციალი დამშვიდებაში აუცილებლად დაგეხმარებათ. გარდა ამისა, როგორც სწავლულები გვარწმუნებენ, სამკაული ფიზიკურადაც კურნავს, განსაკუთრებით, თუ ნატურალური მასალისგანაა დამზადებული: მაგალითად, ხე არომატულ ფისსა და ზეთებს შეიცავს, რომლებიც ნელ-ნელა ორთქლდება და არომათერაპიის უხილავ სეანსს გვიტარებს; ზღვის ნიჟარები შეიცავს ნივთიერებებს, რომელთაც გამაყუჩებელი ეფექტი აქვს — დადგენილია, რომ სადაფის სამკაულის მოყვარულები იშვიათად სვამენ ტკივილგამაყუჩებელს და ექიმსაც ნაკლებად მიმართავენ; ბიჟუტერიაში თუ უამრავი ფერია გამოყენებული, შეიძლება ფერთათერაპიის ნაწილიც გახდეს. ფერი ადამიანის ენერგეტიკულ ბალანსზე მოქმედებს, მაგალითად, ყვითელი ფერი მუშაობისთვის განგაწყობთ, წითელი — ძალას შეგმატებთ, ცისფერი — მადას დაგიცხრობთ, ყავისფერი — ამშვიდებს, ნარინჯისფერი — შიშის გრძნობას ასუსტებს... ასე რომ, გაიკეთეთ შესაფერისი ფერის ბეჭედი ან სამაჯური და წარმატებული დღეც გარანტირებული გექნებათ.

ᲡᲣᲓᲝᲙᲣ ᲒᲐᲜᲘᲐ

ᲐᲓᲕᲘᲚᲘ

		6	1	9	5			
			2			1		
				4	8	7	6	
7		5					8	
9	8						1	2
	2					3		7
	9	2	8	6				
		8			4			
			5	3	2	8		

ᲡᲢᲐᲜᲓᲐᲠᲢᲘ

6				2		8	1	4
2	1				4			
							6	
					9	7	5	
			6		3			
	6	5	4					
	8							
			5				8	3
4	2	1		8				7

ᲠᲗᲣᲚᲘ

9					2	7	5	
					9	4		
2				8			9	
			2	4		5		
5	2		6		1		4	7
		1		7	5			
	7			3				2
		2	8					
	8	6	9					5

ᲔᲥᲡᲞᲔᲠᲢᲘ

	1				2			
7			5		9			
	9					1		
	8	9	3				7	
	7	3		6		4	2	
	6				4	3	8	
		8					6	
			6		5			7
			1				4	

სიმსუქნე ბაქტერიის ბრალია

ჩინელმა მეცნიერებმა შანხაის უნივერსიტეტიდან დაასკვნეს, რომ სიმსუქნის მიზეზი, შესაძლოა, ბაქტერიული ინფექცია იყოს. სწავლულებმა ექსპერიმენტი ჩაატარეს, რომლის დროსაც მღრღნელებს მსუყე საკვებს აჭმევდნენ და მოძრაობის საშუალებას ნაკლებად აძლევდნენ. აღმოჩნდა, რომ ჭარბი წონა მხოლოდ იმ თაგვებს განუვითარდა, რომლებიც ენტერობაქტერით იყვნენ დაინფიცირებულნი — ეს ბაქტერია აფერხებს ნივთიერებათა ცვლას და ცხიმების გამომუშავებას უწყობს ხელს. კვლევების ხელმძღვანელი ამტკიცებს, რომ ჭარბწონიანი პაციენტი, რომელმაც 23 კვირაში სხეულის მასის 29% დაკარგა, განიკურნა დიაბეტისგან, ჰიპერტონიისა და ღვიძლის ცხიმოვანი ინფილტრაციისგან. განსაკუთრებული დიეტა ენტერობაქტერიის მოქმედებას აქვეითებდა

ვეგანური დიეტა ონკოდაავადებებისგან გვიცავს

უკანასკნელი რამდენიმე წლის განმავლობაში ყველასთვის ცნობილი გახდა, რომ ადამიანები, ვინც ვეგეტარიანულ დიეტას იცავს, ნაკლებად ავადდებიან სიმსივნით, ბოლო გამოკვლევებმა აჩვენა, რომ ონკოლოგიური დაავადებების ყველაზე დაბალი მაჩვენებელი ვეგანებს აქვთ. საქმე ისაა, რომ მსგავსი დიეტის გავლენით, დაახლოებით 500 გენი ისე იცვლება, მავნე გენები, რომლებიც სხვადასხვა დაავადებებზეა პასუხისმგებელი, ითიშება, სასარგებლოები კი (მაგალითად, იმუნიტეტზე პასუხისმგებელი), პირიქით, აქტიურდება. ვეგანობა — ცხოვრების მკაცრად ვეგეტარიანული წესია, ვეგანები გამორიცხავენ იმ პროდუქტის მოხმარებას, რაც ცხოველებისა თუ ფრინველების ექსპლუატაციითა მიიღება. არ ჭამენ თევზს, კვერცხს, რძის პროდუქტსა და თაფლსაც კი.

ყველაზე ხანმრთელი ქვეყანა

საერთაშორისო კვლევების მიხედვით, რომელიც ორი წლის განმავლობაში მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში მიმდინარეობდა, სპეციალისტებმა რეიტინგი შეადგინეს. შეაფასეს ამ ქვეყნებში მოსახლეობის სიცოცხლის ხანგრძლიობა და პირველ ადგილზე იაპონია აღმოჩნდა, მეორეზე სინგაპური, მესამეზე კი შვეიცარია. პირველ ათეულში მოხვდნენ ასევე, ესპანელები, იტალიელები, ავსტრალიელები, კანადელები. აღმოჩნდა, რომ დიდხანს ცოცხლობენ ძლიერი სქესის წარმომადგენლები ანდორადან, ისრაელიდან და სამხრეთ კორეადან.

სასარგებლო ანტიბიოტიკები

კომპანია IBM-ის მეცნიერები ახალი თაობის ანტიბიოტიკების შექმნაზე მუშაობენ, რასაც გვერდითი მოვლენები არ ექნება და პაციენტს მაქსიმალურ სარგებელს მოუტანს. კომპანია ნანოტექნოლოგებზეა სპეციალიზებული და ანტიბიოტიკებიც ნანოსტრუქტურაზე უნდა იყოს დაფუძნებული. ადამიანის სხეულში ისინი დაავადებულ უჯრედებზე იმოქმედებს და ამგვარად, მთლიან ორგანიზმს არ მიაყენებს ზიანს. ნანოსტრუქტურების მოთავსებას სწავლულები ჩვეულებრივ ანტიბიოტიკებში აპირებენ, რათა დაავადებული უჯრედები მოძებნონ და ამ გზით დაარეგულირონ მკურნალობა. ასეთი პროექტები, მეცნიერთა მოსაზრებით, ძალიან სასარგებლოა, რადგან მათი გამოყენება შეიძლება არა მხოლოდ ანტიბიოტიკებში, არამედ სადეზინფექციო საშუალებებში.

ირანელი „ბომჟი" მილიონერი აღმოჩნდა

ცოტა ხნის წინ ირანში ნამდვილი „მილიონერი ღატაკთა უბნიდან" აღმოაჩინეს. გარდაცვლილი მათხოვრის სახლში პოლიცია უზარმაზარ ქონებას გადააწყდა — 75 წლის ტალათ ჰაბიბიანს, ადგილობრივები ქუჩის მათხოვრად იცნობდნენ, პოლიციის წარმომადგენლები კი შოკირებულნი დარჩნენ, როცა აღმოაჩინეს დოკუმენტები უძრავ ქონებაზე (რამდენიმე ბინა ქალაქის რესპექტაბელურ რაიონში, ასევე რამდენიმე ვილა), მიწებსა და მსხვილ ბიზნესებზე. გარდა ამისა, „ღარიბი" ირანელი ხელოვნებისა და ანტიკვარიატის თაყვანისმცემელი აღმოჩნდა — კოლექციაში უძველესი სპარსული ძვირფასი სამკაულები ნახეს, რომელთაგან თითოეული ათობით ათასი დოლარი ღირს. მამაკაცს მემკვიდრეები არ დარჩენია, ამიტომ მთელი ქონება სახელმწიფოს საკუთრება გახდება. აღსანიშნავია, რომ „მილიონერი ჯურღმულებიდან" ერთადერთი არ არის ირანში — 2003 წელს 40 წლის ქალმა განქორწინება მას შემდეგ მოითხოვა, რაც შეიტყო, რომ მისი ქმარი — ხალიჩებით მოვაჭრე, საკმაოდ მდიდარი ადამიანი რეგულარულად გადიოდა ქუჩაში სამათხოვროდ; კიდევ ერთი „ღატაკი" კი თეირანის პოლიციამ 2006 წელს დააპატიმრა, რომელსაც საბანკო ანგარიშზე 115 ათასი დოლარი აღმოუჩინეს.

იოდის დეფიციტი ინტელექტს აქვეითებს

ტასმანიის უნივერსიტეტის სპეციალისტებმა ჩაატარეს მასშტაბური კვლევა და იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ იოდის დეფიციტი ბავშვის ინტელექტზე მოქმედებს — პატარებს, რომელთა დედებსაც ორსულობის დროს იოდის დეფიციტი აღენიშნებოდათ, უჭირთ ახალი უნარების ათვისება, სწავლა და მართლწერაშიც პრობლემები აქვთ, თუმცა აღსანიშნავია, რომ ამავე ნივთიერების დაბალი დონე, თურმე არ მოქმედებს მათემატიკურ უნარებზე. სწავლულები აცხადებენ, რომ იოდის ნაკლებობა ნეგატიურად აისახება ემბრიონის სმენითი ორგანოების განვითარებაზე და ამიტომაც აფრთხილებენ მედიკოსები მომავალ დედებს, რომ ფეხმძიმობის პერიოდში იოდისშემცველი საკვები პროდუქტი მიიღონ.

1.სინარნარე, მოხდენილობა მოძრაობაში
2.ქაღალდის დასვეული გრაგნილი
3.ასეული ძველი რომის არმიაში
4. მესამე მუსიკალური ინტერვალი
5. შარდის შეუკავებლობა ძილში
6. სოხუმის ძველქართული სახელწოდება
7. დონ კიხოტის ნამდვილი სახელი
8. ხის ან ბუჩქის გამონაზარდი
9. მცენარე ჯანჯაფილის მეორე სახელი
10. დათა თუთაშხიას ვაჟის სახელი
11. პეპიას ქალიშვილი „გლახის ნაამბობში“
12. ქალაქი საფრანგეთში
13. აღმოსავლური ჩასაბერი საკრავი
14. მეცნიერება ზნეობის შესახებ
15. წმინდა ნინოს მამის სახელი
16.იტალიის საფეხბურთო ნაკრები ანუ „სუადრა ...“
17. უსაქმური, მოხულიგნო ახალგაზრდა
18.სიმებიანი მომცრო მუსიკალური საკრავი
19. სიცოცხლესთან კავშირის აღმნ. წინსართი
20.ქართული ყოველკვირეული ჟურნალი
21.ქვევრიდან ღვინის ამოსაღები მოწყობილობა
22. „ჰამლეტის“ პერსონაჟი ქალი
23. ძროხის ნობათი
24. პატარა დროშა
25. ტრადიციული იტალიური ღვეზელი
26.ამერიკელი მწერალი ედგარ ალან ...
27. გლინკას ოპერა „ივან ...“
28. ცხენის კუდის ბეწვი
29. გენიალური პოლონელი კომპოზიტორი
30. პარფიუმერული სითხე
31. მსახიობი რასელ ...
32. მიმართვა ინგლისელი მამაკაცისდმი
33. კომპიუტერული პროგრამა
34.ცნობილი ირლანდიული საცეკვაო კოლექტივი
35. არასასურველი პირი ანუ ... ნონ გრატა
36.ხემცენარე მაგარნა-ჭუჭიანი ნაყოფით
37. მოცარტის ოპერა „... ჟუანი“
38. ჰაკერის სახელი „მატრიცაში“
39.თხების ჯოგი
40.თავისუფალი ფორმის ნარკვევი
41. ტბა თბილისთან
42.განთიადის ქალღმერთი ბერძნულ მითოლოგიაში
43.მოსკოვის ერთ-ერთი მდინარე
44.გულშემატკივართა შეძახილი კორიდაზე
45.ინგლისელი კომიკოსი ... ატკინსონი
46.აღმაშენებლის უმცროსი ასული თამარ ...
47. „მფრინავი“ ძუძუმწოვარი ცხოველი
48. წრეწირის ნაწილი
49. ქალის პირბადე
50. შენობის შიგნითა ეზო
51. დამხმარე თეორემა გეომეტრიაში
52.ევროპის სიგრძით მეორე მდინარე
53. საფრანგეთის ნაკრების ყოფილი თავდამსხმელი
54. მსახიობი ... პიტი
55. ჭაობის მცენარე
56.ჰოლივუდის ექსვარსკვლავი მერილინ ...
57. ქალაქი რუსეთის ევროპულ ნაწილში
58. იტალიური ფიქვი
59. ბუჩქოვანი მცენარე
60. ორსახოვანი ღმერთი რომაულ მითოლოგიაში
61. ხალიჩის სახელწოდება ძველ ქართულში
62.საქონლის წონა შეფუთვის გარეშე
63. ტოპმოდელი ჯესიკა ...
64. რესტორანში ღვინოზე პასუხისმგებელი პირი
65. ქალაქი აღმოსავლეთ საქართველოში
66. ირმისებრთა ოჯახის ცხოველი
67.მსოფლიო წესრიგის ქალღმ. ეგვიპ. მითოლოგიაში
68.სიბრძნის ქალღმერთი ბაბილონურ პანთეონში
69.ნახევრად ძვირფასი ქვა
70. ტბა აფრიკაში
71. მსახიობი ... ტაილერი
72.ქართლის მეფე ოპერა „აბესალომ და ეთერში“
73. მოყავისფრო მწვანე
74. ვიეტნამის უდიდესი ქალაქი
75. ფართობის ერთეული ინგლისში
76. ლამების ოჯახის ცხოველი
77. მუსიკალური გამის II ნოტი
78. ინდოეთის შტატი
79. ქალაქი კახეთში
80. ერთნახადი არაყი
81. დამშვიდობება ფრანგულად
82. ოპერა „კარმენის“ ავტორი
83.სოფელი სტეფანწმინდის რაიონში
84.იტალიური მაფია ანუ ...ნოსტრა
85.მსახიობი ... ტრავოლტა
86. შექსპირის ტრაგედია
87. ყნოსვის ორგანო
88. მოუხარშავი ან შეუწველი
89. სამოქალაქო ავიაციის საერთაშორისო ორგანიზაცია (შემოკლებით)
90. ქალაქი რუმინეთში

პილოტი ლოცვისთვის დაამატიმრეს

ტუნისელი პილოტი, რომელმაც ფრენისას შექმნილი ექსტრემალური სიტუაციის დროს ლოცვა დაიწყო, იტალიის სასამართლომ გაასამართლა და 10 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა; იგივე სასჯელი დაიმსახურა მისმა კოლეგამაც, რადგან მათი უმოქმედობის გამო, თვითმფრინავი ზღვაში ჩავარდა. როგორც გამოძიებამ დაადგინა, ექსტრემალური სიტუაციისას პილოტი პანიკაში ჩავარდა და ხმამაღლა დაიწყო ლოცვა იმის ნაცვლად, რომ ამ შემთხვევისთვის გათვალისწინებული პროცედურები შეესრულებინა.

ᲕᲔᲠᲡᲘᲐ

ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.
e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge
UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

ᲓᲐᲛᲤᲣᲫᲜᲔᲑᲔᲚᲘ ᲓᲐ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77
�პᲐᲡᲣᲮᲘᲡᲛᲒᲔᲑᲔᲚᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ: ნინო ლურსმანაშვილი
ᲛᲔᲓᲘᲐᲯᲒᲣᲤᲘ: მაია მიშელაძე, ნინო კომახიძე, რუსუდან შელია, ანი ბეშიტაიშვილი.
ᲡᲢᲘᲚᲘᲡᲢᲘ: ნინო ებანოიძე
ᲓᲘᲖᲐᲘᲜᲔᲠᲘ – გიორგი ლომსაძე
ტელ: 2942399

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.